№1
852 N 10833
28.12.1990

# სარბიელი

158 XII

თავისუფალი სპორტული გაზეთი
ფასი 40 კაპიკი
საქართველოს მენეჯერთა კავშირი


ნომერში:

**ჩვენ და ისინი**
„ქართული სპორტის ინტერესები უპირისპირდება... სსრკ-ს ინტერესებს."
მე-3 გვერდი

**«ნაპოლეონმა» დაიყოლია «კაიზერი»**
გერმანიაში „სარბიელის" საკუთარი კორესპონდენტის დავით კაკაბაძის პირველი წერილი.
მე-4 გვერდი

**ლელა მესხი... ლამაზი საქართველოდან**

ინტერვიუ საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელთან
მე-6 გვერდი

**დიდი მოთამაშის წვლილი**
„აია" საქართველოს ჩემპიონია
მე-8 გვერდი

**ფლორენსიო კამპომანესი:**
„მე ჭკვიანი ქალები მომწონს".
მე-8 გვერდი




«ფეხებში ხელი მოჰკიდა, თავდაღმა დააყირაო, საკეცხლურივით დაკეცა, ოთხკუთხივ დაუპირაო; ამისი მაყურებელი სუყველა გააკვირვაო».

აკაკი

# გამარჯობა, ჩვენო მკითხველო!

ჩვენი საუკუნე სპორტის საუკუნეცაა. სპორტის მნიშვნელობის თვალსაჩინო ზრდის კვალობაზე უფრო და უფრო იკრებს ძალას მისი უმცროსი ძმა — სპორტული ჟურნალისტიკა — ერთდროულად მისი ფხიზელი შემფასებელიც და მეხოტბეც. ახლა როგორც იტყვიან, ინფორმაციული ბუმია და სპორტიც ღირსეულად მიითვლის თავის წილს, წილს, რომელიც განუხრელად იზრდება და უნდა გაიზარდოს კიდეც.

ამ რწმენითა და იმედით გულმოცემულებს, მკითხველთა სამსჯავროზე გამოგვაქვს ჩვენი მოკრძალებული ნაშრომი — პირველი ნომერი ახალი, თავისუფალი სპორტული გაზეთისა.

ძვირფასო მკითხველებო, სპორტის გულშემატკივრებო, „სარბიელი" ჯერჯერობით უცხოა თქვენთვის. მის რედაქციას კი, ესე იგი ჩვენ, გულწრფელად გვსურს იქცეს ახალი გაზეთი თქვენს კეთილ ნაცნობად, მეგობრადაც კი, და ერთმანეთს გულახდილად გავუზიაროთ ჩვენი აზრები, იმედიანი თუ დამაფიქრებელი.

ახალი გაზეთის დაარსება, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ეს შედარებით იოლად ხერხდება, დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. საქმე მარტო საგაზეთო ტირაჟის გაყიდვა — არგაყიდვა როდია, უარეს შემთხვევაში მატერიალურად იზარალებ და ეს იქნება. შეუდარებლად მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობა მკითხველისა და, ცხადია, ქართული სპორტის წინაშე, რომლის ერთ-ერთი თანამდგომი, იმედი გვაქვს, ჩვენც ვიქნებით. ამ დიდი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით ვთავაზობთ ქართველ მკითხველს ახალ გაზეთს და ვიმედოვნებთ, რომ „სარბიელი" ინფორმაციისა და პერიოდული გამოცემების ამ სიმრავლეშიც იპოვის თავის ადგილს.

რამდენადაც შევძლებთ, სისტემატურად მოგაწვდით ინფორმაციას სპორტული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებსა და სიახლეებზე, ვიქნებით ობიექტურნი.

ოღონდ,

ჩვენს მუშაობაში მთავარი დასაყრდენი იქნება ქართული სპორტი, ისევე როგორც მისი გულშემატკივარი — „სარბიელის" მთავარი შემფასებელი და... იმედიც.

მაშ, გამარჯობა, ჩვენო მკითხველო!

# სპორტის ეროვნული სული

ცნობილი პუბლიცისტი, კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე გერონტი ქიქოძე საუკუნის დასაწყისში (1916 წელს) წერდა: „არა მარტო კულტურული აღორძინებისა და ძლიერების ხანაში, არამედ შემდეგაც დიდ ყურადღებას აქცევენ ქართველები ფიზიკურ ვარჯიშობასა და თამაშს..." შემდეგ კი იქვე განაგრძობდა: „ევროპელი ერები ერთმანეთში სესხულობენ სპორტისა და გიმნასტიკის ფორმებს. ჩვენ ეს სესხება არ გვესაჭიროება. ჩვენ მოგვეპოვება მთელი განძი ეროვნულ ვარჯიშობათა და თამაშობათა, რომლებიც დავიწყებული არიან და აღდგენას ელიან. მათი აღდგენა ახალ ფერადს შეიტანს ჩვენს ეროვნულ კულტურაში, ჩვენს სხეულს კი ადრინდელ სილამაზეს და სიჯანსაღეს დაუბრუნებს" — სავსებით გასაგებია, რაზეა საუბარი. ბატონი გერონტი აქ გულისხმობდა ძველ ისტორიულ წყაროებსაც და ლიტერატურულ ძეგლებსაც, უცხოელ მისიონერთა მოგონებებსაც და მოგზაურთა შთაბეჭდილებებსაც, რომლებშიც ფიზიკური ვარჯიში, განებავთ, სპორტი, წარმოდგენილია, როგორც ქართველი კაცის ყოფის ერთ-ერთი ელემენტი, ერის ისტორიის ნაწილი. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი მისი პირვანდელი მნიშვნელობით სრულებითაც არ იყო უცხო ჩვენი წინაპრისთვის და მას მრავალმხრივი დატვირთვა ჰქონდა ერის ცხოვრებაში.

სწორედ ამის გამო არცთუ იოლი დასადგენია, რა დროიდან იწყება ქართული ფიზიკური კულტურისა და სპორტის ისტორია, რომელ ფაქტს, რომელ მოვლენას უნდა მიენიჭოს უპირატესი მნიშვნელობა. და ვინაიდან ეს უფრო სპეციალისტებისა და მკვლევართა საქმეა, ჩვენ ამჯერად მხოლოდ ზოგადი შენიშვნებითა და ერთი-ორი ფაქტის გახსენებით შემოვიფარგლებით.

ჭიდაობა ქართველ ხალხს ოდითგანვე სისხლსა და ხორცში ჰქონდა გამჯდარი, როგორც ფიზიკური ძლიერების სიმბოლო. ალავერდის ტაძრის მთავარი შესასვლელის მარცხენა ზედა კუთხის ფრესკაზე გამოსახულია ქართულ საჭიდაო ჩოხაში გამოწყობილი ორი ფალავნის შერკინების ეპიზოდი. ეს ფრესკა მეთერთმეტე საუკუნით



1912 წელი. პრაღა. ჩეხოსლოვაკიის ტანვარჯიშული საზოგადოება „სოკოლის" მეექვსე შეკრებაზე (მოფრენი) საქართველოს გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: გიორგი ეგნატაშვილი, გაიოზ ბერელაშვილი, ივანე კოშოიანი, იან გოშტოფტი, ფრანტა ნოვაკი და კოტე ურიმაგოვი. გიორგი ნიკოლაძე (სურათზე — რგოლებზე ვარჯიშის დროს), რომელიც ასევე გამარჯვებულთა შორის იყო, მაშინ პეტერბურგში ცხოვრობდა და იქაური „სოკოლის" სახელით გამოდიოდა.

არის დათარიღებული. ის, რომ ჭიდაობის ეპიზოდი წმინდა ტაძრის კედელზე დაუხატავთ, ალბათ დაგვეთანხმებით, მრავლისმეტყველი ფაქტი გახლავთ.

გასულ საუკუნეში ჯერ მარტო თბილისში რამდენიმე ათეული საჭიდაო წრე ყოფილა, სადაც ყოველ შაბათ-კვირას ახალგაზრდები მკლავისა და მუხლის ძალას უსინჯავდნენ ერთმანეთს. ასეთი წრე იყო გამართული მთაწმინდაზე (იქ ხშირად ადიოდა გრიგოლ ორბელიანი), იტალიელთა ბაღში, დიდუბის ეკლესიის უკან (ე.წ. გრიშუას ბაღში), მახათას მთაზე, ნაძალადევში, ფიქრის გორაზე. ასეთი საჭიდაო წრეები საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც ბლომად იყო, სადაც ადგილობრივი ფალავნების მხარდამხარ იბრძოდნენ საგასტროლოდ ჩასული მოჭიდავეები და ზოგჯერ უცხოელი სტუმრებიც კი.

საქართველოში ველოსიპედისტთა ორგანიზებული ჩემპიონატები, თუ არ ვცდებით, 80-იანი წლებიდან დაიწყო. მაგრამ ქართული ველოსპორტის ისტორიას უფრო ღრმად აქვს გადგმული ფესვები და, თქვენ წარმოიდგინეთ ამ საუკუნის ფარგლებსაც კი სცილდება. თბილისში ტრეკი თურმე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში არსებობდა, ყოფილი დიდი მთავრის ქუჩაზე. ეს კი არა, ისიც ცნობილია, რომ ველოსიპედისტთა პირველი საზოგადოება თბილისში 1890 წელს დაარსდა და მისი ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო სამხედრო ინჟინერი ვასილ ჭორჭაძე — თავისი დროისთვის საკმაოდ ცნობილი ველოსიპედისტი, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის ერთ-ერთი მშენებელი.

დაახლოებით ამ პერიოდში ჩეხი ენთუზიასტების თაოსნობითა და საზოგადოებრიობის მხარდაჭერით შეიქმნა თბილისის ტანვარჯიშული ორგანიზაცია, რომლის წევრებმა გიორგი ეგნატაშვილმა და გიორგი ნიკოლაძემ განუზომლად დიდი ამაგი დასდეს ქართულ სპორტს. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ ფაქტსაც, რომ ფოთში და შავიზღვისპირეთის სხვა ქალაქებში, აგრეთვე თბილისსა და ქუთაისში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ფეხბურთი, ან კიდევ იმას, რომ თბილისის დღევანდელი რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე გასული საუკუნის 80-იან წლებში საჯირითო წრე იყო მოწყობილი, სადაც სისტემატურად იმართებოდა ცხენოსანთა შეჯიბრებები.

ერთი სიტყვით, ქართული სპორტის ისტორია საკმაოდ რეალურ და მყარ საფუძველზეა აღმოცენებული და ამ ისტორიაში ძნელია ერთი რომელიმე მნიშვნელოვანი ფაქტის გამოყოფა და რომელიმე უტყუარი თარიღის დასახელება. სპორტი მუდამ იყო ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების ნაწილი, ოღონდ სხვადასხვა სფეროში და ისტორიულ-სოციალურ პირობებში სხვადასხვაგვარად ვლინდება.

ასევე ძნელია სპორტული პრესის ისტორიის ზუსტი პერიოდიზაცია. ძნელია იმიტომ, რომ ამ თემას სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა მნიშვნელობით წარმოგვიდგენდა საქართველოში არსებული ყველა გაზეთი თუ ჟურნალი (ამ მხრივ საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება ილია ჭავჭავაძისეულ გამოცემებს) და, ამდენად, ისინი ჩვენს წარმოდგენაში ეპიზოდურ მოგონებებად დარჩნენ (თუმცა გარკვეულ შემეცნებით მნიშვნელობას დღემდე ინარჩუნებენ).

რაც შეეხება უშუალოდ სპორტულ პრესას, ქართული ენციკლოპედიის თანახმად იგი თავის არსებობას 1934 წლის 18 აპრილიდან ითვლის, როცა თბილისში პირველად დაისტამბა გაზეთი „საქართველოს ფიზკულტურელი". აღნიშნულმა გამოცემამ ამ სახელწოდებით ორ წელიწადს იარსება და 1936 წელს „ფიზკულტურელად" გადაკეთდა (გაზეთის ბოლო ნომერი 1939 წლის 28 თებერვალს გამოვიდა). მერე დაიწყო ათწლიანი ვაკუუმის პერიოდი, სანამ 1949 წლის 10 ივლისს „ლელოს" პირველი ნომერი არ დაისტამბა.

როგორც შენიშნეთ, სპორტმა თავის პერიოდიკულ პრესას დიდად გაუსწრო და, ამდენად, მის წინაშე ვალშია კიდეც. რომ ყოველი ახალი გამოცემა, სპორტული პრესის დარგში ყოველი ახალი სიტყვა, გარკვეულ მხარდაჭერასა და თანადგომას საჭიროებს. სპორტის თემატიკა ჩვენში უკიდეგანოა და უძირო, ვინაიდან ქართულ მიწაზე აღიზარდა ორ ათეულზე მეტი ოლიმპიური, ასობით მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, და კიდევ იმიტომ, რომ მას აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია და გამოკვეთილი, ნათელი მომავალი.

ნოდარ გუგუშვილი

# 1. ჩვენ და ისინი

ქართული სპორტი დამოუკიდებლობისთვის იბრძვის.

ცხადზე უცხადესია: ურთულეს საქმეს შევეჭიდეთ, ათასი დიდი თუ პატარა წინაღობის დაძლევა მოგვიწევს. საკავშირო სპორტის ცენტრალიზებული სტრუქტურიდან გამოსვლა იოლია, საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე დამოუკიდებელი გასვლა — პრობლემური.

მაგალითი თვალწინ გვიდევს.

გავიხსენოთ წლეულს, 15 თებერვალს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გამოეყო საკავშიროს და დამოუკიდებელი გახდა. მიზანი საჯაროდ გამოცხადდა: ქართული ფეხბურთი საერთაშორისო საფეხბურთო ოჯახის სრულუფლებიანი წევრი უნდა იყოს. შემდეგ საქმემ წინ ვერ წაიწია. რატომ? მთავარი დაბრკოლება — საბჭოთა კავშირი და მისი ფეხბურთის ფედერაცია. ფიფა-ს ოფიციალური წარმომადგენელი აცხადებს: ფიფა-ში გაწევრიანების ორი გზა არსებობს: ა) სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის წარდგინებით, ფიფა-ში გაწევრიანებული ფედერაციების თანხმობის შემთხვევაში, ფიფას აღმასკომი იხილავს რესპუბლიკის ფედერაციის განცხადებას; ბ) მოკავშირე რესპუბლიკა გადის სსრ კავშირის შემადგენლობიდან და ხდება დამოუკიდებელი სახელმწიფო. პირველი გზა ჯერჯერობით მოჭრილია. საკავშირო ფედერაციის ხელმძღვანელობა არ ცნობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამოუკიდებლობას (ვიაჩესლავ კოლოსკოვი: „როგორც საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე, მე ვიცავ საბჭოთა კავშირის ინტერესებს").

დარჩა მეორე გზა — საქართველო უნდა გავიდეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. ქართული ფეხბურთის ინტერესები უპირისპირდება... სსრკ-ს ინტერესებს.

ამასობაში ასპარეზზე გამოდის ოფიციალური პოლიტიკა — საქართველოს ახალი ხელისუფლება გარდამავალ პერიოდს აცხადებს.

მოსკოვიდან გვეუბნებიან: სპორტში პოლიტიკის ჩარევა აკრძალული ხერხია! 15 თებერვლის შემდეგ წარამარა ამას იმეორებენ. ფეხბურთის სპეციალისტთა მნიშვნელოვანი და ავტორიტეტული ნაწილი, სიმართლეს ვერ გაექცევი, დამოუკიდებლობის მომხრე მართლაც არ ყოფილა. დამფუძნებელ ყრილობაზე გადამწყვეტი სიტყვა თქვეს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელმა დელეგატებმა. ჰქონდათ თუ არა ამის უფლება?

. ჰქონდათ!

ოპონენტები, ცხადია, საბუთს მომთხოვენ.

ზოგადად პოლიტიკისა და სპორტის ინტერესები გამიჯნულია. ეს საყოველთაოდ აღიარებული წესია. მაგრამ, როგორც ყველა დანარჩენი, ეს წესიც ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებს. სპორტის ინტერესი ვერასოდეს დაუპირისპირდება ეროვნულს. ამ დებულებას მხოლოდ ორთოდოქსი მარქსისტები არ იზიარებენ. ცნობილი ამერიკელი სოციოლოგ-ფსიქოლოგი ჯეიმს მაკფრედი წერს: „სპორტი, რასაკვირველია, უნდა გავმიჯნოთ პოლიტიკისგან, მაგრამ მას ვერ გავმიჯნავთ სახელმწიფოსგან. სახელმწიფოს ინტერესები, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სპორტის ინტერესებზე მაღლა დგას".

რამდენიმე ფაქტს შევახსენებთ.

პოლიტიკური მოტივებით მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა დასავლეთის თითქმის ყველა სახელმწიფომ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, იაპონიამ, გფრ-მ და სხვებმა; ლოს—ანჯელესის ოლიმპიადას ასევე პოლიტიკური მოტივებით ბოიკოტი გამოუცხადეს ე.წ. სოციალისტური ქვეყნებმა, მათ შორის — სსრ კავშირმა, ჩეხოსლოვაკიამ, ბულგარეთმა, გდრ-მ და სხვებმა. სეულის ოლიმპიადაზე, კვლავ პოლიტიკური მოტივით, არ ჩავიდა კუბის სპორტული დელეგაცია.

ასე რომ, სპორტის მეშვეობით პოლიტიკური ნების გამოხატვა მარტო ქართველთა „ახირება" არ ყოფილა. საჭიროების კვალობაზე ასე იქცევიან ამერიკელები, ინგლისელები, გერმანელები, ფრანგები და თვითონ საბჭოთა კავშირელები.

ჯოხი მაინც ჩვენზე ტყდება. გაზეთ „პრავდაში" ჩავიხედოთ: „გამოგიტყდებით, განსაკუთრებით მაფიქრებს თბილისის „დინამოს" ბედი, გუნდისა, რომელთანაც დაკავშირებულია საბჭოთა ფეხბურთის ისტორიის არაერთი ნათელი ფურცელი. გულშემატკივრები, ჩემი აზრით, ასევე განიცდიან საკავშირო სარბიელიდან „გურიის" გაუჩინარებას. ვიღაც—ვიღაცეებმა, როგორც ჩანს, დაიკმაყოფილეს პოლიტიკური ამბიციები, მაგრამ ფეხბურთელებმა რა დააშავეს, რატომ უნდა იზარალონ? მოდით, ვიაჩესლავ ივანეს ძევ, მოვიფიქროთ, როგორ დავეხმაროთ მათ?

—ჩვენ მზად ვართ, მაგრამ ამისთვის ორმხრივი სურვილია საჭირო. ასევე აუცილებელია საფეხბურთო ცხოვრებაში არ ჩაერიონ გარეშე ძალები, გუნდებმა და ფეხბურთელებმა თვად გადაწყვიტონ საკუთარი ბედი" (№252, 1990წ).

ერთი წუთით დავიჯეროთ, რომ „პრავდის" სპორტულ მიმომხილველს ლევ ლებედევს და სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარეს ვიაჩესლავ კოლოსკოვს გულწრფელად აფიქრებთ ქართული ფეხბურთის მომავალი. დავიჯეროთ, მაგრამ ვკითხოთ: ამ ექვსი წლის წინ პირში წყალი რატომ ჩაიგუბეს, რატომ განგაში არ ატეხეს და არ დაუპირისპირდნენ „ვიღაც-ვიღაცეების პოლიტიკურ ამბიციებს", რად არ გამოესარჩლნენ პეტროვს, ივანოვს, სიდოროვს, ან შარშანწინ სად იყვნენ? რატომ არ შესჩივლა ლევმა ვიაჩესლავს, „მოდით, ივანიჩ, მოვიფიქროთ, როგორ დავეხმაროთ" ჩვენს კუბელ მეგობრებს, რა უფლება აქვს ფიდელ კასტროს სპორტსმენთა საქმეში ხელი აფათუროს?

არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა.

თბილისის „დინამო" და ლანჩხუთის „გურიამ" რით დაიმსახურეს ასეთი ყურადღება? იმით, რომ იმპერიული სპორტის სამსახურს განუდგნენ. კოლოსკოვმა და ლებედევმა, სამეფო კარის გამოცდილმა მოხელეებმა, კარგად იციან, როდის რა თქვან და რა გააკეთონ.

მაგალითად, გორბაჩოვი ამბობს: „მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ სახელმწიფოს დაქუცმაცების, ტერიტორიის გადაკეთების, ხალხთა საუკუნოვანი ურთიერთობის რღვევისა".

კოლოსკოვი აგრძელებს: „იმათთან საქმეს ვერ დავიჭერთ, ვინც საკავშირო წესდებას არ ცნობს. ჩვენ ერთ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და ამ სახელმწიფოს ინტერესებს უნდა დავემორჩილოთ".

ჩვენ ქართული სპორტის დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვით, ისინი — საბჭოთა სპორტის ერთიანობისთვის. მოკლედ, სერიოზულ სპორტულ-პოლიტიკურ თამაშში ჩავებით. ამ თამაშის მოგება იოლი არ იქნება. მით უმეტეს, მეტოქენი აკრძალულ ილეთებს არ თაკილობენ.

საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები პასიურ მეტოქეთა რანგს უნდა მივაკუთვნოთ. მათი ტაქტიკური მანევრები არ სცილდება საერთაშორისო დიპლომატიის ტრადიციულ ჩარჩოებს: მოზომილი, ფრთხილი დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან, შინაურ საქმეებში ჩაურევლობა. მოკლედ, ფიფა, ფიდე, ფილა და სხვები ჩვენი ხათრით მოსკოვს ვერ მოიმდურებენ.

ხუან ანტონიო სამარანჩი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი: „სსრ კავშირის ოლიმპიურ კომიტეტთან შეუთანხმებლად რესპუბლიკური კომიტეტების სასარგებლოდ ნაბიჯს არ გადავდგამთ" (სამარანჩმა ეს განცხადება გააკეთა წლეულს შემოდგომაზე სსრ კავშირის ეოკ-ის ხელმძღვანელობისა და ბალტიისპირა რესპუბლიკების ეოკ-ების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე). ცოტა მოგვიანებით, სოკ-ის მორიგ სესიაზე გადაწყდა: სოკ-ის ავტორიტეტული კომისია მოინახულებს ბალტიისპირა რესპუბლიკებს, სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის აზრის გათვალისწინებით გადაწყდება სადავო საკითხები).

იოზეფ ბლატერი, ფიფა-ს გენერალური მდივანი: „საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ფიფა აღიარებს მხოლოდ და მხოლოდ სსრკ ფეხბურთის ფედერაციის იურისდიქციას. თუ რესპუბლიკებს ფიფა-ში საკითხის დაყენება სურთ, ეს უნდა გააკეთონ საკავშირო ფედერაციის მეშვეობით".

სსრ კავშირის სპორტულ ორგანიზაციათა პოზიციაც გამოკვეთილია: კავშირის ინტერესების ერთგულება, მონოპოლიის შენარჩუნება; უკიდურეს შემთხვევაში — მოჩვენებითი კომპრომისი.

საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ვიტალი სმირნოვი: „ჩვენი გენერალური ხაზი ასეთია: რესპუბლიკათა ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს ავტონომიური უფლებები უნდა მივანიჭოთ. თუ საშუალებას გამონახავენ, ნება ექნებათ დამოუკიდებლად იასპარეზონ საერთაშორისო შეჯიბრებებში და უმასპინძლონ მათ, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებში ჯერჯერობით ერთიანი გუნდით უნდა გამოვიდეთ".

რომელ საერთაშორისო შეჯიბრებას გულისხმობს ვიტალი სმირნოვი? არაოფიციალურ ტურნირებს თუ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებს? საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობას და მათში მონაწილეობას, რამდენადაც ვიცი, ბატონი ვიტალის ნებართვა არ სჭირდება (ასეთ ტურნირებში საქართველოს სპორტსმენები კარგა ხანია გამოდიან). რაც შეეხება ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებს, აქ საქმე სხვაგვარად არის: რესპუბლიკური სპორტული ფედერაცია საერთაშორისო ფედერაციის სრულუფლებიანი წევრი უნდა იყოს. სპორტის ოლიმპიურ სახეობებში რესპუბლიკური ფედერაციები შესაბამის საერთაშორისო ფედერაციებში ჯერ არ გაწევრიანებულან. საამისოდ პირველი აუცილებელი პირობაა რესპუბლიკური ფედერაციის დამოუკიდებლობა. მოკლედ, ვიტალი სმირნოვი ტყუის. შეუძლებელია საქართველოს სპორტსმენებმა ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში იასპარეზონ, ამავე დროს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში დამოუკიდებლად მონაწილეობის უფლება მიიღონ. ერთი გამორიცხავს მეორეს.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატი, სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვალერი სისოევი „ასაბუთებს"

დასასრული მე-6 გვ.

# ვასწავლოთ ბიჭებს ჭიდაობა



სად არის ჭიდაობის სამშობლო? ვფიქრობ, პასუხი ამ კითხვაზე სხვადასხვაგვარი იქნება. დედამიწის ზურგზე მცხოვრებ ყველა ხალხს თამამად შეუძლია ამ შემთხვევაში „პირველაღმომჩენის" სახელზე განაცხადოს პრეტენზია. გამონაკლისი, ცხადია, არც საქართველოა...

თანდათან, მას შემდეგ, რაც ჭიდაობის თანამედროვე კლასიკურ სახეობათა გავრცელება დაიწყო, ქართული ჭიდაობა, შეიძლება ითქვას, მოდის მსხვერპლი გახდა. საჭირო იყო მისი განვითარებისთვის ზრუნვა, პროპაგანდა, მაგრამ იგი თანდათან მიივიწყეს. ქართულ ჭიდაობას უფრო მაშინ ახსენებდნენ, საერთაშორისო სარბიელზე ქართველ ათლეტთა მიღწევებზე რომ ჩამოვარდებოდა სიტყვა. ხოლო როცა მთელ მსოფლიოში დაიწყო ლაპარაკი ჭიდაობის თვითმყოფად ქართულ სკოლაზე — ჩემპიონთა ნამდვილ სამჭედლოზე, — ჩვენ ამაყად ვაცხადებდით, რომ იგი დაფუძნებულია ეროვნული ჭიდაობის ტრადიციებზე, რომ ჩვენი სახელოვანი ჩემპიონების უმეტესობამ ოლიმპისკენ გზა სწორედ ქართული ჭიდაობის წიაღიდან გაიკაფა.

იაპონელებიც ამაყობდნენ თავიანთი ეროვნული ჭიდაობით — ძიუდოთი, მაგრამ ისინი ალტაცების გამოხატვას ნაკლებ დროსა და ენერგიას ანდომებდნენ, საქმეს კი მეტს აკეთებდნენ. ოცდაათი წლის ან ცოტა მეტი ხნის წინათ მათ დაისახეს გარკვეული მიზანი — თავიანთი ეროვნული ჭიდაობა მსოფლიო სპორტად ექციათ. დაისახეს და მიაღწიეს კიდეც საწადელს. დღეს ძიუდოს გარეშე წარმოუდგენელია მსოფლიო სპორტული მოძრაობა.

ახლა ვიკითხოთ, რა იციან ქართული ჭიდაობის შესახებ საქართველოს ფარგლებს გარეთ? დაგვეთანხმებით, ბევრი არაფერი.

საბედნიეროდ, დრონი იცვლებიან. ცვლილებები ამ სფეროსაც შეეხო. ახლა ჩვენ სერიოზულად ვფიქრობთ, როგორ გავიტანოთ ქართული ჭიდაობა მსოფლიო ავანსცენაზე. პირველი ნაბიჯები ამ გზაზე შარშან გადავდგით. ჩატარდა მთელი კამპანია: მრავალ ქვეყანაში გაიგზავნა უცხოურ ენებზე თარგმნილი ქართული ჭიდაობის წესები და დებულება შეჯიბრების ჩატარების შესახებ. ახლა „ჭიდაობა" „ძიუდოს" მსგავსად, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იაპონურ და სხვა ენებზე ერთნაირად — ქართულად წარმოითქმის. გულმოდგინე მზადების შემდეგ წლის ბოლოს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა პირველი საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. სამწუხაროდ, ჩვენი [illegible] ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის შექმნა (ამისთვის საჭირო იყო ხუთი ქვეყნის წარმომადგენელთა ოფიციალური თანხმობა) შეუსრულებელი დარჩა, პირველ ტურნირში კი უცხოელთაგან მხოლოდ ისრაელის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

ჩვენდა სამწუხაროდ, „ხმათა" საჭირო რაოდენობა ვერც მეორე ტურნირმა მოაგროვა — საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მხოლოდ იაპონიისა და მონღოლეთის ათლეტები ჩამოვიდნენ. სარბიელზე გამოვიდნენ უზბეკეთის სპორტსმენებიც, (ისინი პირველ ტურნირშიც მონაწილეობდნენ), სომხეთისა და აზერბაიჯანის მოჭიდავეები. შეიცვალა შეჯიბრების ფორმულაც: ათლეტები ასპარეზობდნენ არა ოთხ, არამედ ცხრა წონით კატეგორიაში, შემდეგ კი აბსოლუტური პირველობა გათამაშდა.

— ჩემი აზრით, ასპარეზობა დაძაბული და საინტერესო გამოდგა, — ამბობს ტურნირის მთავარი მსაჯი ვახტანგ ბალავაძე, — ამას ხელი შეუწყო არა მარტო სოლიდურმა ფულადმა პრიზებმა, არამედ იმანაც, რომ სტუმრებმა ქართული ჭიდაობის საკმაო ცოდნა გამოავლინეს და თამამად ჩაებნენ საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში. თუ შარშან უცხოელებმა მხოლოდ ერთი ჯილდო წაიღეს, ახლა მათ ოთხი ბრინჯაოს მედალი ხვდათ. აღსანიშნავია ერთი ფაქტიც: უმეტეს წონით კატეგორიებში წარმატებას იმ მონაწილეებმა მიაღწიეს, რომლებიც ქართულ ჭიდაობაში ოსტატდებიან, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ მათ მიერ ილეთების შესრულების ხარისხი ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილობისგან. მიზეზი? — ქართული ჭიდაობის ჩვევებს მომავალი სპორტსმენი ბავშვობიდან უნდა ითვისებდეს და მერე გამუდმებით ზრუნავდეს მათი სრულყოფისთვის. სხვაგვარად მიზანს ვერავინ მიაღწევს.

ამ სიტყვების დასტურად ვიტყვით, რომ ტურნირზე წარმატება ხვდა... ძიუდოისტს: აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვება იზეიმა 19 წლის ზესტაფონელმა სპორტსმენმა გიორგი გაჩეჩილაძემ.

ტურნირმა ბევრი სხვა პრობლემაც წარმოაჩინა. ჩვენ ამ საკითხებზე პასუხის გაცემა ვთხოვეთ ჭიდაობის სფეროში ავტორიტეტულ სპეციალისტებს.

ქრისტოფორე ნინიაშვილი: — იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ ქართული ჭიდაობა კარგა ხნის მანძილზე იყო „წაქცეული", მაგრამ დღეს იგი, თუ, ვთქვათ, ათი წლის წინანდელ მდგომარეობას შევადარებთ, თანდათან წამოდგა ფეხზე. ამას უთუოდ ხელი შეუწყო სამი წლის წინათ საფუძველჩაყრილმა სოფლებისა და რაიონების გუნდების რესპუბლიკურმა ასპარეზობამ. ამ შეჯიბრებამ ნამდვილი ბუმი გამოიწვია: ხალხს არ დავიწყებია ჭიდაობა, დღესაც უწინდებურად უყვარს და უფრთხილდება მას. ქართული ჭიდაობა ხელახლა იწყებს აღორძინებას კასპში, გორში, ქარელში, ქვიშხეთში, ხაშურში, მთელ კახეთში. ახლა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მის განვითარებას დასავლეთ საქართველოში. ჩვენ დიდხანს არ გვყავდა საკმარისი რაოდენობით კვალიფიციური სპეციალისტები, — მხოლოდ ენთუზიასტთა იმედად ვიყავით. ახლა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში შემოღებულია ქართული ჭიდაობის სპეციალიზაცია, შარშან ოთხი კაცი ჩაირიცხა, წლეულს — ცხრა. ესე იგი ნამდვილი მწვრთნელებიც გვეყოლება. მაგრამ მათ, ისევე როგორც დღეს უკვე საქმეში ჩაბმულ სპეციალისტებს, ნაყოფიერი მუშაობისთვის სათანადო პირობები უნდა შევუქმნათ. დიდი იმედით ველით ახლახან შექმნილი სპორტის ეროვნულ სახეობათა რესპუბლიკური ასოციაციის მხარდაჭერას.

ლავრენტი კაციაშვილი: ერთ ან თუნდაც რამდენიმე რაიონში საქმის გამოსწორება არ კმარა, ვითარება ყველგან უნდა შეიცვალოს, გაუმჯობესდეს. დღეს მარტო ნახერხმოყრილი სარბიელი ვერაფერს გიშველის. საჭიროა სპეციალიზებული დარბაზები, თუნდაც მცირე ზომისა. ასეთი დარბაზების მოწყობა ყველა რაიონს შეუძლია. მთავარი სურვილია, თორემ სახსრები გამოინახება. ადრე ქართული ჭიდაობა ვის აინტერესებდა, მთავარი იყო გეგმა და ოსტატების მომზადება ჭიდაობის ტრადიციულ სახეობებში. აი, ამიტომ მოხდა, რომ მთელ საქართველოში ქართული ჭიდაობის ერთი სპეციალიზებული, შესაფერისად აღჭურვილი საწვრთნელი დარბაზი არა გვაქვს. აღარას ვამბობ ტრიბუნებიან სადემონსტრაციო დარბაზზე. არ არის არც ერთი სექცია, სადაც მოზარდები ჩვენი ეროვნული ჭიდაობის ანბანს შეისწავლიდნენ. ყველა მოსამზადებელ ჯგუფში — თავისუფალი ჭიდაობისა იქნება თუ კლასიკურის, ძიუდოსი თუ სამბოსი, მომავალ სპორტსმენთა აღზრდის საფუძველი, პირველდაწყებითი საფეხური, ქართული ჭიდაობა უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ორ-სამ წელიწადს მაინც. ვიდრე სხვებს დავუწყებდეთ სწავლებას, ჯერ ჩვენი ბიჭები უნდა გამოვზარდოთ. თორემ ისე გამოდის, რომ უცხოელებს ვიწვევთ ქართული ჭიდაობის ტურნირზე და ჩვენ თვითონ სამბოს ან ძიუდოს ილეთებს ვუჩვენებთ... კიდევ რა მინდოდა მეთქვა — ვინ გადაწყვიტა ტრადიციული ზურნის დუდუკით შეცვლა? განა ჭიდაობა ზურნის გარეშე შეიძლება? დარბაზში აღარ მინდა შესვლა. ასე მგონია, ხალხი საჭიდაოდ კი არა, საქეიფოდაა მოსული.

ომზარ შოშიტაშვილი: ბევრი პრობლემა ფინანსურ შესაძლებლობებს უკავშირდება, სათანადო შეძლების გარეშე ძნელია საწადელის მიღწევა. თავის დროზე იაპონელები ძიუდოს რეკლამაზე დიდძალ ფულს ხარჯავდნენ, მხოლოდ საბჭოთა კავშირს მათ რამდენიმე ასეული ტატამი და ათასობით კიმონო აჩუქეს. ჩვენ კი ჯერჯერობით ასეთი შესაძლებლობები არ გვაქვს. თუმცა, ბოლო ხანს ქართულ ჭიდაობას საიმედო შემწეები გამოუჩნდნენ შულავერის მატყლის პირველადი გადამუშავებისა და კასპის მირიანის მეფრინველეობის ფაბრიკების სახით, რისთვისაც ჩვენ მათ დიდ მადლობას ვუძღვნით. მაგრამ უფრო მეტია საჭირო და იმედი გვაქვს, რომ დახმარების ხელს გამოგვიწვდის ახლად შექმნილი სპორტის ეროვნულ სახეობათა რესპუბლიკური ასოციაცია.

კიდევ რა მინდა გითხრათ: ორი წლის წინათ საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება ჭიდაობის ცენტრის აშენების შესახებ, გამოიყო საჭირო სახსრებიც, მაგრამ დღემდე გადაუჭრელ პრობლემად იქცა სათანადო ტერიტორიის შერჩევა ნაგებობის ასაშენებლად.

შალვა შალოლაშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

**გიორგი გაჩეჩილაძე**

დაიბადა 1971წ. ზესტაფონში.
სპორტის ოსტატი ძიუდოში.
„დინამო". 86 კგ.
მწვრთნელი ჯონი ჯანიაშვილი.
1989 წლის სსრკ ახალგაზრდულ პირველობაში გამარჯვებული.
საქართველოს ნაკრების წევრი.
საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი.





## იქნებ მესამე მაინც...

საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში — ეს ჩვენი ძველისძველი ოცნება ახდა, თუმცა ნაწილობრივ, რადგან ახალი შეჯიბრება ფაქტობრივად მხოლოდ ქართველი ფალავნების მონაწილეობით ჩატარდა. საერთოდ, პირველ ცდას ბევრი არ მოეთხოვება, მაგრამ მომდევნო მაინც უნდა ყოფილიყო ხარისხით უფრო ალმატებული და ლაზათიანი.

აი, ახლა ეს მეორე ტურნირიც უკან მოვიტოვეთ და არა გვგონია, მას განსაკუთრებული შთაბეჭდილება დაეტოვებინოს... შეჯიბრების დამთავრებიდან უკვე სამი კვირა გავიდა და იქნებ მის ცალკეულ დეტალებზე აღარც ღირდეს ლაპარაკი, მაგრამ მთავარს კი ვიტყვით: ქართული ჭიდაობა ჩვენშიც არ არის ისე დაფასებული, როგორც ეკადრება და უცხოელი რატომ გამოიჩენს ხალისსა და მოწადინებას? შესაძლოა, ეს ერთგვარად დღევანდელობის ბრალიცაა: ადამიანები (ამ შემთხვევაში — მწვრთნელები და სპორტსმენები) ზედმეტად პრაქტიკულები გახდნენ და ყველაფერს ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ სარბიელზე მოპოვებული მედლებით ზომავენ.

დღეს ქართული ჭიდაობა ერთგვარად აბჯარშემოძარცვულ, ხმალდაჟანგულ რაინდს ჰგავს, უცხოელებს კი პირველ ყოვლისა, ეს გარეგნული სახე ხვდებათ თვალში და ხშირად მათი „პასიურობის" მიზეზიც ხდება. მხოლოდ შორსმჭვრეტელმა და პრაქტიკულმა იაპონელებმა შეიგრძნეს მისი ყადრი, მაგრამ რა ზომით — ესეც საკითხავია.

ჩვენთან კი, ისევ ვიმეორებთ, ქართული ჭიდაობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეორეხარისხოვან როლშია. ძალიან კარგია, რომ ხალხმრავალი ტურნირი გავმართეთ (რისთვისაც დავხარჯეთ დიდი ენერგია და თანხა), მაგრამ ამით რეალურ მდგომარეობას მხოლოდ დროებით თუ ჩამოვაფარეთ ვარდისფერი ფარდა, რომელიც ტურნირის მიმდინარეობისას ხშირად „იხეოდა" მონაწილეთა და მსაჯთა მოუმზადებლობისა თუ სხვა მიზეზების გამო. თან ტურნირს სხვადასხვა მიზეზით ბევრი ჩვენი უძლიერესი მოჭიდავე დააკლდა, რომელთა მონაწილეობაც ნამდვილად გაალამაზებდა შეჯიბრებას. ამ მხრივ, ვფიქრობთ, შარშანდელმა ტურნირმა უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა.

ქართულ ჭიდაობაში მესამე საერთაშორისო ტურნირი კი სულ სხვაგვარად წარმოგვიდგენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუხედავად იმისა, რომ რედაქციამ არჩევანი მე მომანდო — პირველი მასალა იმაზე მოამზადე, რასაც საინტერესოდ ჩათვლიო, ბევრი ფიქრი არ დამჭირვებია. ფრანც ბეკენბაუერის გადასვლამ მარსელში „ოლიმპიკის" ტექნიკურ დირექტორად — აი, თემა, რომელიც აგერ უკვე მესამე თვეა გერმანიის სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. არც კი ვიცი, ამ ბოლო ხანს რომელ პრობლემას თუ საკითხს დაუთმო აქაურმა პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ მეტი ადგილი, მეტი დრო... ალბათ, მხოლოდ გერმანიის გაერთიანებისადმი მიძღვნილ მასალებსა და გადაცემებს.

... ეს მართლაც სენსაცია იყო! ვინ იფიქრებდა, თუ „კაიზერი ფრანცი", მას შემდეგ რაც საზეიმოდ გამოეთხოვა გუნდს, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა, კვლავ უღელში თავის გაყოფას მოისურვებდა! აკი ამბობდა, ძალიან დავიღალე, ახლა მშვიდი ცხოვრება მინდაო. პრესკონფერენციაზე, რომელიც 8 ივლისს რომის ოლიმპიური სტადიონის საკონფერენციო დარბაზში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის დამთავრებისთანავე გაიმართა ბეკენბაუერმა განაცხადა — მომავალშიც მწვრთნელად რომ მინდოდეს მუშაობა, გერმანიაში დავრჩებოდიო. ასე უპასუხა მან ერთ ამერიკელ ჟურნალისტს, რომელმაც ჰკითხა, მომავალი მსოფლიო პირველობისათვის აშშ-ს ნაკრებს ხომ არ ჩაუდგებით სათავეშიო.



# «კაიზერის» ახალი სამოსელი

გერმანიაში მუშაობს „სარბიელის"
საკუთარი კორესპონდენტი
დავით კაკაბაძე.
გთავაზობთ მის პირველ
კორესპონდენციას კიოლნიდან.

## «ნაპოლეონმა» დაიყოლია «კაიზერი»?

ის, რაც ვერ მოახერხეს ამერიკელებმა (აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ალან როტენბერგი მეტად სარფიან კონტრაქტს სთავაზობდა ფრანცს), რაც არ გამოუვიდათ იტალიის უმდიდრეს კლუბებს (მათ სურდათ ბეკენბაუერის „ხელში ჩაგდება"), შეძლო 47 წლის ფრანგმა მილიონერმა, ბიზნესმენმა, პოლიტიკოსმა და ფეხბურთის თავგადაკლულმა ქომაგმა ბერნარ ტაპიმ. „ნაპოლეონმა" დაიყოლია „კაიზერი", „ნაპოლეონს" მარსელში „კაიზერი" მოჰყავს — ამგვარი სათაურებით იყო აჭრელებული საფრანგეთის პრესა.

„ნაპოლეონი" — ფრანგები ასეთ მეტსახელს ტყუილუბრალოდ არავის უბოძებენ. ამიტომ, ზედმეტი არ იქნება, უფრო ახლოს გავიცნოთ კაცი, რომლის ახლახან გამოცემული ბიოგრაფია („გამარჯვებული") მყისვე ბესტსელერად იქცა და რომლის პირად ფულად ქონებას სოლიდური ფრანგული ჟურნალი „ლ'ექსპანსიონი" დაახლოებით 100 მილიონ დოლარად აფასებს (თუმცა, საფიქრებელია, რომ ორიოდე თვის წინ გამოთქმული ეს ვარაუდი დღეს უკვე მოძველებული იქნება).

იმავე რომში საშუალება მოგვეცა დავსწრებოდით ბერნარ ტაპის პრესკონფერენციას, რომელიც საქვეყნოდ ცნობილმა დასავლეთგერმანულმა ფირმამ „ადიდასმა" მოიწვია: დიახ, იმ პრესკონფერენციის დაწყებამდე „ადიდასი" ჯერ კიდევ დასავლეთგერმანულ ფირმად იწოდებოდა და ამსწრე ჟურნალისტთაგან არავინ იცოდა, რომ ეს ერთი შეხედვით ძლევამოსილი და აყვავებული ფირმა საფრანგეთის მოსთხოვდა „ფინანსურ თავშესაფარს". სწორედ იმ დღეს, 7 ივლისს, გამოცხადდა, რომ კომპანია „ბერნარ ტაპი ფინანსმა" დაახლოებით ნახევარ მილიარდ მარკად შეისყიდა კონცერნ „ადიდასის" აქციათა 80 პროცენტი, რითაც, ფაქტობრივად, ფირმის მფლობელად იქცა.

ფეხბურთისადმი მიძღვნილ მასალებში ტაპის გვარი პირველად ამ ოთხიოდე წლის წინათ გამოჩნდა, როცა ის, როგორც პრეზიდენტი, სათავეში ჩაუდგა ერთ დროს სახელმოხვეჭილ, იმხანად კი გაკოტრების პირად მდგარ კლუბს — მარსელის „ოლიმპიკს". კლუბი ყელამდე ვალებში იყო ჩაფლული — მისი ფინანსური დეფიციტი 4 მილიონ დოლარზე მეტს შეადგენდა. ტაპის ამისი არ შეშინებია. ამბობენ, ბერნარი ადრეულ ასაკშივე მიხვდა, რომ დიდ სპორტთან და დიდ სპორტსმენებთან მეგობრობა თავად მასვე დაეხმარებოდა სახელის, პოპულარობისა და ფულის მოხვეჭაშიო. ალბათ, სწორედ ამიტომ იყო, რომ 80-იანი წლების დასაწყისში იგი დაუმეგობრდა თავის სეხნიას, საფრანგეთის სპორტის მოყვარულთა კერპს, „ტურ დე ფრანსში" ხუთგზის გამარჯვებულს, ველოსიპედისტ ბერნარ ინოს, რომლის გუნდს, ამავე დროს, უდიდეს ფინანსურ დახმარებას უწევდა. მაგრამ 1986 წელს ინო გამოეთხოვა აქტიურ სპორტს და ტაპი იძულებული გახდა ახალი „ტრამპლინი" ეძებნა. ასე მოვიდა იგი გაპარტახებულ „ოლიმპიკში", რომელსაც 1972 წლის მერე აღარ ღირსებია საფრანგეთის ჩემპიონის ოქროს მედალი და რომელიც 1980-დან 1984 წლამდე მეორე დივიზიონში ლაფავდა სულს.

ტაპიმ მთლიანად გადაახალისა გუნდი: 1986 წლის შემადგენლობიდან დღეს „ოლიმპიკში" მხოლოდ ჟან-პიერ პაპენი თამაშობს. პრეზიდენტის მოღვაწეობის შედეგი ცნობილია: 1989 წელს მარსელელებმა არა მხოლოდ საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს, არამედ ეროვნული თასიც მოიგეს, 1990 წელს ისევ პირველი ადგილი დაიკავეს ჩემპიონატში და ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალს მიაღწიეს. „ოლიმპიკს" კვლავ დაუდგა დიდების ხანა. მაგრამ საფრანგეთის მასშტაბი ტაპისნაირ კაცს, რა თქმა უნდა, ვერ დააკმაყოფილებს. ახლა მას ევროპის ჩემპიონთა თასის მარსელში „დაბინავება" სურს. ოცნების ხორცშესხმისთვის მან ფრანც ბეკენბაუერი მოიწვია. ვინც ტაპის იცნობს, დარწმუნებულია, რომ იგი ამ მიზანსაც მიაღწევს. ყოველ შემთხვევაში, რასაც აქამდე ხელი მოჰკიდა, ყველაფერში წარმატება მოიპოვა. უბრალო ცეცხლფარეშის შვილი 14 წლის იყო, როცა ნაწილობრივ თრევით ცოტაოდენი გასამრჯელოს შოვნა დაიწყო. დღეს ტაპი ორმოცზე მეტი ფირმის, „პოშე—ტურბოსა" და 80-მეტრიანი ოთხაფრიანი ლუქსუს-იახტის მფლობელია. ამბობენ, მისი აგარაკი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ციხესიმაგრეს ჰგავსო.

## ენაწყლიანი ტაპი, ლამაზი მარსელი თუ ბევრი ფული?

„ძალიან ჭკვიანი და საინტერესო კაცია" — ასე აფასებს ფრანც ბეკენბაუერი თავის ახალ შეფს. „გაცნობისთანავე მომეწონა. ვიგრძენი, რომ იდეებით არის აღსავსე და ბევრის გაკეთება შეუძლია. თანაც, ისევე შეშლილია ფეხბურთზე, როგორც მე. სხვა თუ არაფერი, ასეთ კაცს უარით ვერ გაისტუმრებ. მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა თუ არა, კლანჭები ჩამავლო და აღარ მომცილებია. გაუთავებლად მელაპარაკებოდა იმაზე, თუ რა მშვენიერია მარსელი და რამდენის მიღწევას შევძლებთ ერთად. სანამ არ დამიყოლია, არ მომეშვა. „კარგი, კარგი, თანახმა ვარ, მოვდივარ მარსელში".

ბეკენბაუერის სიტყვებს „შტერნმა" ასეთი კომენტარი გაუკეთა: „ურიგოდ როდი ჟღერს. მაგრამ ვინ არის დღეს იმდენად გულუბრყვილო, რომ დაიჯეროს, თითქოს ფრანცი მესიე ტაპის ენაწყლიანობისა და მარსელის ლამაზი ხედების ხათრით გადასახლდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე?" მართლაც, ვინ არის ამდენად გულუბრყვილო?

ათეიბით ერთმანეთზე უფრო სარფიანი კონტრაქტიდან ბეკენბაუერმა ტაპის წინადადებას მიანიჭა უპირატესობა. ჟურნალმა „შპორტ-ბილდმა" თავის მრავალრიცხოვან მკითხველებს აუწყა, რომ „კაიზერ ფრანცის" ხელფასი თვეში 1 მილიონ 300 ათას ფრანკს შეადგენს, მარკებში კი ეს თანხა 400 ათასს უდრისო. წლიური წმინდა შემოსავალი 4,8 მილიონი მარკა იქნება და, თუ ევროპის ჩემპიონთა თასს მოიპოვებს, კიდევ ერთ ამდენს პრემიის სახით მიიღებსო...

არავინ იცის, რამდენად სარწმუნოა ეს ციფრები. თვით ბეკენბაუერი გადაჭრით უარყოფს „შპორტ-ბილდის" ინფორმაციას. ამას წინათ ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში მან განაცხადა: „დავიღალე ამ ჭორებისაგან. ცხადია, მარსელში ბევრ ფულს მიხდიან, მაგრამ იმდენსაც არა, ხალხს რომ ჰგონია. გარწმუნებთ, მე ის კაცი არა ვარ, ვინც ასეთ სამუშაოზე მარტო ფულის გულისთვის დათანხმდებოდა".

რა უფლება გვაქვს, არ დავუჯეროთ ამ

დასასრული მე-7 გვ.



ბერნარ ტაპი თავის მეუღლე დომინიკთან ერთად.

# ლელა მესხი... ლამაზი საქართველოდან



ვიდრე კორტზე გასულს ნახავდეთ, ალბათ გაგიკვირდებათ მისი წარმატებები: მშვენიერი გარეგნობის, თითქმის მინიატურულ ახალგაზრდა ქალს (სულ 52 კგ-ს იწონის) თვალის საზომით თითქოს არაფერი სცხია ჩოგბურთელისა. ლელა მესხის ნიჭი და უნარი, ეტყობა, ცოტა უფრო ღრმად არის ჩაგუდებული: ალბათ უფრო მის ხასიათში, შეუპოვრობასა თუ სიმარჯვეში...

მსოფლიო კლასის, მართლაც შესანიშნავ მოთამაშეთა მრისხანე, შეუპოვარ და უკომპრომისო არმიაში ლელა მესხმა მაინც დაიმკვიდრა თავისი ადგილი. იგი ასპარეზობს ყველაზე მნიშვნელოვან, პრესტიჟულ ტურნირებში, შინ კი, თბილისში, ისეთ კორტზე ვარჯიშობს თეიმურაზ კაკულიას ხელმძღვანელობით, მისი მნახველი ნებისმიერი პროფესიონალი სახტად დარჩებოდა.

ლელა მესხმა ეს-ესაა ორ ათეულ წელს გადააბიჯა. მთავარი გამარჯვებები წინ არის... ეს ინტერვიუც მორიგ საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრების წინ ჩამოვართვით.

**ბოლო დროს მართლაც თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეთ. ამაზე მიუთითებს თქვენი სარეიტინგო მაჩვენებელიც მსოფლიოს უძლიერეს მოთამაშეთა კლასიფიკაციაში. როდის იწამეთ, რომ შეგეძლოთ, ვთქვათ, ოც საუკეთესო ჩოგბურთელს შორის მოგეპოვებინათ ადგილი?**

— ჯერ კიდევ შარშან ჩემმა მწვრთნელებმა და მე გადავწყვიტეთ, რომ უკვე დრო იყო თექვსმეტ საუკეთესო მოთამაშეს შორის მოხვედრაზე გვეფიქრა და ამისთვის საგანგებო სამზადისი დავიწყეთ. ალბათ გეცოდინებათ, მე თეიმურაზ კაკულია და მოსკოველი სპეციალისტი სერგეი ანდრეევი მავარჯიშებენ.

**რამ განაპირობა ეს პროგრესი?**

— მე ფიზიკურად ძალიან სუსტი ვიყავი, ეს კი სერიოზული ნაკლია ჩოგბურთელისათვის. მაგალითად, თუ დროულად ვერ ასწრებ ბურთთან მისვლას, დარტყმითაც ვერ დაარტყამ ხეირიანად. მთელი წელი ფიზიკურ მომზადებას საგანგებო ყურადღებას ვუთმობდი და ორიენტაცია უფრო სწრაფ თამაშზე ავიღეთ. ცუდად არ გვივარჯიშია. შარშან ფიზიკური მომზადებით საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრთაგან ბევრს ჩამოვრჩებოდი, ახლა, არა მგონია, ვინმემ მაჯობოს — უფრო სისწრაფე მაქვს მხედველობაში.

**მაპატიეთ, მაგრამ თქვენი ნათქვამი ცოტა მიკვირს, რადგან მეტოქეები გარეგნულად, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო შთამბეჭდავად გამოიყურებიან. კი, მაგრამ, ტექნიკა? ამბობენ, რომ თქვენი მთავარი იარაღი მარცხნიდან ორი ხელით დარტყმაა და ამასაც კი დახვეწა სჭირდებაო.**

— მართალია, მაგრამ უკვე შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი დარტყმა თითქმის სრულყოფილად ავითვისე. თუმცა, რასაკვირველია, მაინც გამუდმებული ვარჯიშია საჭირო, თორემ ნასწავლმა ჩოგბურთში ჩქარა იცის დავიწყება, ცხადია, ვცდილობ გავაუმჯობესო მარჯვნიდან დარტყმა.

**ბოლო ხანს სულ უფრო ხშირად ხვდებით მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელებს: შტეფი გრაფს, გაბრიელა საბატინის, მონიკა სელეშსა და სხვებს. ყველას თავისი ძლიერი მხარე აქვს. თქვენ და თქვენ მწვრთნელებს ალბათ საგანგებო ტაქტიკის შემუშავება გჭირდებათ მათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მაგალითად, გრაფი ძალიან ძლიერად აწოდებს...**

— გრაფის მოწოდება არ არის ისეთი საშიში, მას შეიძლება ალლო აუღო. შტეფი ფიზიკურად ძალიან ძლიერია. გავიგე, სპრინტში შესანიშნავი შედეგები ჰქონია. როგორც ვიცი, აპირებენ ჯონსონს შეაჯიბრონ საჩვენებელ გარბენში...: გრაფი შედარებით სუსტად ურტყამს მარცხნიდან, ამიტომ, როცა იგი ამ დარტყმას ასრულებს, მუდამ ვცდილობ ბადესთან გავიდე და იქ დავხვდე ბურთს.

**საბატინი?..**

— საბატინისთან უნდა ეცადო, რაც შეიძლება ჩქარა ითამაშო, სწრაფად დააბრუნო მისი მოწოდებული ბურთი უკანვე. მას მოჭრით უყვარს დარტყმა, ასეთ დარტყმას კი მოსამზადებლად გარკვეული დრო სჭირდება და შენ სწრაფად უნდა ითამაშო, რომ ამის საშუალება არ მისცე. ცხადია, ყოველ მეტოქესთან შეხვედრისას საგანგებო ტაქტიკას ვირჩევთ.

**მეტოქეებიც ალბათ უკვე საგანგებოდ ემზადებიან თქვენთან შეხვედრისათვის.**

— რასაკვირველია, ამას ვგრძნობ ხოლმე.

**რამდენადაც ვიცი, ცნობილ ჩოგბურთელებს ერთმანეთში დიდი მეგობრობა არა აქვთ. კონორსისა და ნასტასეს ურთიერთობა ალბათ საერთო მაგალითად არ გამოდგება.**

—ჩოგბურთი მაინც პირადი მეტოქეობაა. მოთამაშეთა დამოკიდებულებასაც უფრო ოფიციალური ხასიათი აქვს. ასეა ქალებშიც და ვაჟებშიც.

**ლელა, კორტზე ქცევასა და თავდაჭერილობას გიქებენ, თუმცა მსაჯთა შეცდომები იშვიათობა არ არის და, რამდენადაც ვიცი, თამაშის დროს ვერც ყველა ჩოგბურთელი იქცევა კორექტულად. ძნელია ასეთ შემთხვევებში წონასწორობის შენარჩუნება?**

— რაც შეეხება მსაჯებს, ისინი, სულ ერთია, თავის ნათქვამს აღარ გადავლენ და ტყუილად კამათს რაღა აზრი აქვს? ზოგჯერ მეტოქის ქცევაც მეტისმეტად მაღიზიანებს, მაგრამ მუდამ ვცდილობ არ ავყვე.

**მსაჯები ზოგჯერ შეგნებულად ხომ არ უწყობენ თქვენს მეტოქეებს ხელს?**

—მსაჯთა შეცდომები იშვიათი არ არის არის, მაგალითად, ამერიკის ღია ჩემპიონატის დროს მათ იმდენი შეცდომა მოუვიდათ, გაოცებული დავრჩი. შეიძლება ეს იმის ბრალიც იყო, რომ კორტზე ცოტა ბნელოდა. შეგნებული არაობიექტურობა კი საკმაოდ იშვიათია, ისიც მაშინ, თუ რომელიმე აღიარებულ ვარსკვლავს ხვდები, ვთქვათ გრაფს, სელეშსა თუ საბატინის. ამასაც მაყურებელი კარგად ხედავს და სტვენით გამოხატავს თავის უკმაყოფილებას.

**რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენთვის მომავალი თამაშისათვის განწყობას? თუ მხოლოდ მომზადების დონეზეა ყველაფერი დამოკიდებული?**

— თუ მატჩისათვის სათანადოდ განეწყობი, შეიძლება ძლიერ მეტოქესაც მოუგო, თუნდაც სასურველ ფორმაში არ იყო. მე ამას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ და მუდამ ვცდილობ ფსიქოლოგიურადაც კარგად მოვემზადო.

**გიჭირთ, მეტოქეს ხელი ჩამოართვათ დამარცხების შემდეგ?**

— გამოგიტყდებით, ცოტა მიჭირს ხოლმე; ამასვე ვატყობ ჩემს მეტოქეებს, როცა ისინი მარცხდებიან. კარგად მესმის მათი.

**გიყვართ ჩოგბურთის ყურება ტრიბუნიდან? ვაჟების თამაშის ცქერას ამჯობინებთ თუ თქვენივე მეტოქეებისას?**



მწვრთნელი ყავარჯნებითაც მწვრთნელია

— ქალების თამაშს ხშირად ვუყურებ ხოლმე, უფრო ლამაზია და კომბინაციური.

**ლელა, ამას წინათ მოსკოვში გამართულ შეჯიბრებაზე გამარჯვებასთან ერთად ასპარეზობის ყველაზე მშვენიერი მონაწილის — „მის ტურნირის" სახელიც მოიპოვეთ. ხშირად ტარდება ასეთი კონკურსები ჩოგბურთელ ქალთა შორის?**

— საკმაოდ ხშირად ტარდება. მე ასეთი ტიტული სხვა დროსაც მომიპოვებია დასავლეთ ბერლინში. ჯილდოდ საათი მომცეს, „სიტიზენი".

საბატინისაც აქვს რამდენიმე ასეთი პრიზი, მაგრამ იმდენი არა, თქვენ რომ გგონიათ.

**ცნობილი ჩოგბურთელები უზარმაზარ ჰონორარებს იღებენ. რამდენად ასრულებს დოლარები „დოპინგის" როლს?**



— არა, პროფესიონალებს ფული უკვე აღარ უკვირთ. ამიტომ ისე თამაშობენ, როგორც შეუძლიათ. ეს ჰონორარები ჩვენთვის იყო უჩვეულო, თუმცა მას შემდეგ გარკვეული დრო გავიდა.

**ლელა, თქვენ ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციასთან შეთანხმებით კონტრაქტი გაქვთ დადებული ამერიკულ ფირმასთან. რას გაძლევთ ეს ხელშეკრულება?**

— ამ კონტრაქტის წყალობით თამაშის გარდა უცხოეთში ყოველგვარი საზრუნავისაგან თავისუფალი ვარ. ეს იქნება შეჯიბრებაზე რეგისტრაცია, სასტუმრო, სამგზავრო ბილეთები თუ სხვა. ამის საფასურად ჩემი ჰონორარების ოცი პროცენტი უნდა გავიღო. ოცდაათი საკავშირო ფედერაციას მიაქვს, ორმოცდაათი პროცენტი მე მრჩება.

**არ შეიძლება საკავშირო ფედერაციისაგან დამოუკიდებლად გამოხვიდეთ შეჯიბრებაში?**

— ძალიანაც მინდა, მაგრამ ბევრი რამ, პირველ ყოვლისა კი ვიზების საკითხი აქვე, საქართველოში უნდა მოგვარდეს.. გარდა ამისა, ვერ წარმოიდგენთ, ზოგჯერ რამდენი წვალება გვიხდება მე და ჩემს მეუღლეს, რომ, უბრალოდ, მოსკოვში გასამგზავრებლად ბილეთები ვიშოვოთ. არადა, თუ უცხოეთში რომელიმე დაგეგმილ შეჯიბრებას გამოტოვებ ან დააგვიანებ, უზარმაზარი ჯარიმა უნდა გადაიხადო. ძალიან გვეჭირება მოსკოვში საქართველოს წარმომადგენლობის თანამშრომელი ზაურ მესაბლიშვილი, რომელსაც მინდა დიდი მადლობა გადავუხადო.

**შარშან მოსკოვში, „ვირჯინია სლიმსის" ტურნირის პრიზიორთა დაჯილდოებისას ნატალია ზვერევამ მთელი ხალხის თვალწინ კონვერტი გადმოაბრუნა, ჩვენ ფული არ მომცესო. მართლა ასე მოატყუეს?**

— მაშინ ნატაშა არ იყო მართალი. კვარცხლბეკზე ყველას სიმბოლურად ცარიელ კონვერტებს გადმოგვცემენ, ფულს კი ცალკე ვიღებთ, საშემოსავლო და სხვა დაქვითვის პროცედურის შემდეგ. ზვერევა საკავშირო სპორტსახკომსა და ჩოგბურთის ფედერაციაზე ნაწყენია და ამიტომ მოიქცა ასე.

**რამდენად გაამართლა მისმა გადაწყვეტილებამ? — ზვერევამ ხომ სრულიად გაწყვიტა კავშირი ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციასთან.**

— ამით უთუოდ მოიგო, თუმცა ახლა მეტი წვალება უხდება, მაგალითად ვიზების საქმის მოსაგვარებლად, სამგზავრო ბილეთების შესაძენად და სხვა. ოღონდ ეს ცოტა მისი ბრალიცაა, ფულით ზედმეტად არის დაინტერესებული და ამას კარგად ხედავენ საზღვარგარეთული შუამავალი ფირმები. მაგრამ თუ ერთ შეჯიბრებაზე ვერ ახერხებს წასვლას, მეორეზე მიემგზავრება.

**ლელა, თქვენ წელიწადის ნახევარზე მეტს უცხოეთში ატარებთ, მინდა გკითხოთ, არის თუ არა ისეთი რამ, რასთანაც შეგუება გიჭირთ?**

— ძნელად შესაგუებელი არაფერია, ოღონდ ესაა, სახლი მენატრება ხოლმე. საკუთარ სახლს არაფერი სჯობს. მას შემდეგ, რაც თეიმურაზ კაკულია ავად გახდა, ხშირად ვარჯიშიც კი მოსკოვში მიხდება. იქ ვქირაობ კორტსა და სპარინგ-პარტნიორს. კორტშიც და სპარინგ-პარტნიორშიც საათში 25—25 მანეთი უნდა გადაიხადო.

**ახლა თუ შეიძლება აღიზარდოს მაღალი კლასის ჩოგბურთელი ისეთ პირობებში, თქვენ რომ გქონდათ?**

— ძნელია. ახლა ბავშვები ისე თამაშის დონეს არ აქცევენ ყურადღებას, როგორც მის გარეგნულ მხარეს, ვინ რა ფორმა ჩაიცვას, რომელი ფირმის ჩოგანი დაიჭიროს ხელში. მშობლებიც ძალიან უწყობენ ხელს ამაში. ეს ერთი მხრივ კარგიცაა, რადგან ბავშვი ყველაფრით უზრუნველყოფილია, მაგრამ მან, პირველ ყოვლისა, კარგად თამაშზე უნდა იფიქროს და არა ტანსაცმელზე. ტურნირებზე გამგზავრებას ზოგჯერ მხოლოდ ისინი ახერხებენ, ვისაც უფრო მარჯვე მშობლები ჰყავს, ზოგი კი იჩაგრება.

**საქართველოში ბევრი კარგი სპორტსმენია. რომელს გულშემატკივრობთ განსაკუთრებით?**

— მე ყველას გამარჯვება მიხარია. ვცდილობ, თუ კი შემთხვევა მომეცა, ყველას მივულოცო ხოლმე. ვფიქრობ, ისინიც ასე ხვდებიან ჩემს წარმატებას.

**როგორც გავიგეთ, საერთაშორისო ტურნირებზე უკვე საქართველოს სახელით ასპარეზობთ, და ეს თქვენი დაბეჯითებული მოთხოვნის შემდეგ მოხდა. მეტოქეებმა იციან, საიდან ხართ?**

— იციან, რა თქმა უნდა. ყოველ ტურნირზე დიქტორი ჩემი გვარის გამოცხადებისას აუცილებლად დასძენს, რომ ვარ საქართველოდან, თბილისიდან, რომ საქართველო არის მეტად ლამაზი და ასე შემდეგ. თითქმის ყველა საჩოგბურთო ჟურნალის წლევანდელ ნომრებში მოხსენიებული ვარ, როგორც საქართველოს წარმომადგენელი. ოღონდ იქვე ნამგალუროიანი წითელი დროშაც ხატია. ისიც იმიტომ, რომ ამ ჟურნალების რედაქციაში საქართველოს დროშას არ იცნობდნენ. ახლა კი ჩემმა მეუღლემ პავლე ნადიბაიძემ, რომელიც მუდამ თან მახლავს შეჯიბრებებზე, საკუთარი ხელით დაუხატა ჩვენი სამფეროვანი დროშა და მომავალ საჩოგბურთო გამოცემებშიც უკვე ეს დროშა დაიბეჭდება.

სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ოლგა მოროზოვას კარგად ახსოვდა, როგორ ღირსეულად და დაბეჯითებით იცავდნენ თავიანთ ქართველობას ალექსანდრე მეტრეველი, თეიმურაზ კაკულია და ჩემთვის დიდი წინააღმდეგობა აღარ გაუწევია.

**გისურვებთ წარმატებას მომავალ ტურნირებზე. ჩვენი ახალი გაზეთიც თქვენს დიდ გულშემატკივრად იგულეთ.**

—გმადლობთ.

ესაუბრა
გიორგი ჩოჩიშვილი.
ჯემალ კასრაძის ფოტოები.

# ჩვენ და ისინი

(დასასრული)

ოლიმპიურ თამაშებში რესპუბლიკათა გუნდების დამოუკიდებლად გამოსვლის მიზანშეუწონლობას და „არგუმენტსაც“ გვთავაზობს: „ავიღოთ, მაგალითად, ისეთი დიდი ქვეყანა, როგორიც არის აშშ, რომელიც 50-ზე მეტ შტატს აერთიანებს; ან გფრ — რვა ფედერალური მხარისაგან შემდგარი სახელმწიფო. მე არაერთხელ დავსწრებივარ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომებს, მისაუბრია სოკ-ის ხელმძღვანელობასთან, მათ შორის პრეზიდენტ სამარანჩთან, მაგრამ იმის მოწმე არასოდეს გავმხდარვარ, რომ, ვთქვათ; გფრ-ის ოლიმპიური მოძრაობა რვა დამოუკიდებელი და სუვერენული ოლიმპიური კომიტეტით ყოფილიყო წარმოდგენილი. ეს გახლავთ პოლიტიკური, მე ვიტყოდი — სპორტული კულტურის მაჩვენებელი“.

უკულტურობაში ჩამეთვლება, თორემ ვიტყოდი — ამ განცხადებას პოლიტიკური სიბეცის ელფერი დაჰკრავს. თუმცა, პატივცემულმა ვალერიმ კარგად იცის, რასაც აკეთებს: მთავარია კავშირის ინტერესების დაცვა.

თავი თუ არ მოგაბეზრეთ, მეტოქეთა გუნდიდან კიდევ ერთ პიროვნებას წარმოგიდგენთ, რომელსაც თანამდებობრივი მდგომარეობით ერთ-ერთი საკვანძო ადგილი უჭირავს. სსრკ სპორტსახკომის თავმჯდომარე ნიკოლაი რუსაკი: „ამ საკითხში ჩვენ არ ვაცხადებთ პრეტენზიას მონოპოლიაზე, მაგრამ მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს თითოეული მხარის ფუნქციები“. საუბარია საკავშირო და რესპუბლიკური - სპორტკომიტეტების ურთიერთდამოკიდებულებაზე, რასაც მიეძღვნა საკავშირო სპორტსახკომის კოლეგიის ერთ-ერთი სხდომა. კოლეგია თანახმაა, რომ უცხოეთში გამოსვლისას სპორტსმენებმა გამოიყენონ ეროვნული სიმბოლიკა. ამავე დროს, საკავშირო სპორტკომიტეტი, ცალკეულ რესპუბლიკათა სურვილის გათვალისწინებით, თურმე მზად არის მოლაპარაკება გამართოს საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან, რათა რესპუბლიკების გუნდებმა დამოუკიდებლად იასპარეზონ ევროპის ჩემპიონატებში, აზიის თამაშებში და ზოგიერთ სხვა შეჯიბრებაში.

ეს ინფორმაცია „სოვეტსკი სპორტში“ დაიბეჭდა და, ჩემი დაკვირვებით, ქართულ პრესაში გამოხმაურება ვერ ჰპოვა, არადა, თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია: საკავშირო სპორტსახკომის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ევროპის ჩემპიონატში რესპუბლიკათა გუნდების დამოუკიდებლად მონაწილეობისათვის ჩვენ ვიბრძოლებთო. კონკრეტულად სპორტის რომელი სახეობები იგულისხმება? ხომ არ ეშმაკობს რუსაკი?

იოლი მისახვედრია: საკავშირო სპორტის ხელმძღვანელებს ამ ეტაპზე ხელს აძლევთ დროის გაყვანის ტაქტიკა. მთავარია, როგორ წარიმართება პოლიტიკური ვითარება სსრ კავშირში, რა ბედი ეწევა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას.

ჩვენ როგორი ტაქტიკა უნდა ავირჩიოთ? ამის თაობაზე „სარბიელის“ მომდევნო ნომერში ვისაუბრებთ.

ელგუჯა ბერიშვილი

# გაუმარჯოს ნარდს!

ოცდაცხრამეტი წლის ბაქოელი ფაიკ ჰუსეინოვი დაეუფლა საქართველოს ღია ჩემპიონატის მთავარ პრიზს მოკლე ნარდში. ოთხსაათიან ფინალურ შეხვედრაში მან აჯობა ამერიკელ ილან



მალხაზ დათიკაშვილის ფოტო

შტეფანს. ამ გამარჯვებისათვის ოქროს კამათელი და ათი ათასი მანეთი გადაეცა.

ამ ორთაბრძოლამ დააგვირგვინა მონარდეთა ექვსდღიანი საერთაშორისო ტურნირი, რომელიც თბილისის ჩაის სახლში დაიწყო და ახალგაზრდულ ცენტრ „ბერიკონში“ დამთავრდა. პირველობისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ აშშ-ს, გერმანიის, ფინეთის, დანიის, შვეიცარიის და ჰოლანდიის, აგრეთვე რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს წარმომადგენლები.

მთავარ ტურნირში, მოკლე ნარდში, ჩაება 128 მონაწილე. ნახევარფინალში ჰუსეინოვმა დაამარცხა 1988 წლის მსოფლიო ჩემპიონი გერმანელი ფილიპ მარმორშტაინი — 19:12, შტეფანმა კი თბილისელ მიხეილ სურგულაძეს მოუგო — 17:2. ფინალში ბაქოელ მონარდეს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა და დამსახურებულად გაიმარჯვა — 20:14. მეორე პრიზიორს ვერცხლის კამათელი და ორი ათასი დოლარი გადაეცა.

ოქროს კამათელი და ხუთი ათასი მანეთი გადაეცა გრძელ ნარდში გამარჯვებულ ბაქოელ ვაგიფ ბაბაევს. გადამწყვეტ შეხვედრაში მან თბილისელ ვალერიან თორელს აჯობა — 6:0. თორელი ვერცხლის კამათლითა და 2500 მანეთით დაჯილდოვდა.

გუნდურ ტურნირში პირველობა ამერიკელებს დარჩათ. მათ ფინალში ევროპის ნაკრებს სძლიეს — 3:0.



# დიდი მოთამაშის ნველილი

საქართველოს 23-ე ჩემპიონატის ფინალი

თბილისი. 26 მაისის სახელობის სტადიონი. 1990 წლის 9 დეკემბერი. 14 საათი.

„ელმავალი“ (თბილისი) 3 (0) — „აია“ (ქუთაისი) 10 (0)

მსაჯი — გოჩა აბაშიძე (თბილისი)
სათამაშო დრო:
პირველ ნახევარში — 42 წუთი,
მეორე ნახევარში — 42 წუთი.
ქულები:
„ელმავალი“ — 1 საჯარიმო (ჩავლეიშვილი, მეორე ნახევრის 25-ე წუთზე)
„აია“ — 2 არეკნი (ნ. ძაგნიძე, 16, და ე. ძაგნიძე, 21)
1 ლელო (ხახალეიშვილი, 27).

ფინალის მონაწილენი:

| „ელმავალი“ | № | „აია“ |
|---|---|---|
| დავით ჩავლეიშვილი (27;7) | 15 | ემზარ ძაგნიძე (19) |
| ალეკო ხვედელიძე (25;7) | 14 | ოლეგ ყორყოლიანი (29) |
| მერაბ მარჯანიშვილი (22;8) | 13 | ბათლომე ხამაშურიძე (36;1) |
| ლევან ჩიქვინიძე (21;3) | 12 | პაატა ტყაბლაძე (21;3) |
| ვანო საცერაძე (31;6) | 11 | კახა გაბრიჩიძე (24) |
| თენგიზ თავაძე (29;1) | 10 | ნუგზარ ძაგნიძე (23;9) |
| იგორ ქერაული (24;1) | 9 | ზურაბ კიკაჩეიშვილი (18;3) |
| ზაზა ბაკურაძე (30;6) | 1 | ტიხონ ხახალეიშვილი (24) |
| კახა გიუნაშვილი (22;8) | 2 | თენგიზ ტურძელაძე (30;7) |
| დავით შუბითიძე (28;1) | 3 | გიორგი ბაბუნაშვილი (26;1) |
| თემურ ნარიმანიძე (21;6) | 6 | ბადრი შვანგირაძე (28;6) |
| მამუკა გაგნიძე (25;2) | 4 | თამაზ ოდიშარია (26;1) |
| გია გიუნაშვილი (25;6) | 5 | ხვიჩა კაშია (27;1) |
| რევაზ ჯაფარაშვილი (23;5) | 7 | ზურაბ რეხვიაშვილი (26;6) |
| დავით ღუდუშაური (26;3) | 8 | ზვიად ლიპარტელიანი (25;1) |
| მეორე ნახევრის 36-ე წუთზე ჯაფარაშვილი შეცვალა ზურაბ კოკილაშვილმა, 37-ე წუთზე მოედნიდან გააძევეს შუბითიძე. | | შესვენებაზე კაშია შეცვალა ალექსანდრე ნაჭყებიამ (27;7); მეორე ნახევრის 30-ე წუთზე ხახალეიშვილი შეცვალა ხვიჩა გეგელიამ (20). |
| საშუალო ასაკი — 24.6 წელი. ჯამური ნამსახურობა — 70 თამაში ეროვნულ ნაკრებში. | | საშუალო ასაკი — 25.8 წელი. ჯამური ნამსახურობა — 46 თამაში ეროვნულ ნაკრებში. |

შენიშვნა: თითოეულ მოთამაშეს ფრჩხილებში მიწერილი აქვს ასაკი და ეროვნულ ნაკრებში ნათამაშებ შეხვედრათა რაოდენობა.

როგორც იქნა, დამთავრდა საქართველოს 23-ე ჩემპიონატი. როგორც იქნაო, იმიტომ ვამბობ, რომ შეჯიბრება ჯერ კიდევ მარტის ბოლო დღეს დაიწყო, ხოლო მისი ფინალური შეხვედრა ერთობ არასერიოზულ სუბიექტურ მიზეზთა გამო ოთხჯერ გადაიდო და ბოლოსდაბოლოს დეკემბრის სუსხიან კვირასლა გაიმართა.

წლევანდელი ჩემპიონატი სამ ეტაპად მოეწყო. პირველ ეტაპზე გუნდები ქვეჯგუფებად, მეორეზე კი ე.წ. უძლიერესთა და სანუგეშო ჯგუფებად, წრიული სისტემით, მიმოსვლით ასპარეზობდნენ. აი, ამ ეტაპების შედეგად თბილისის „ელმავალმა“ დამაჯერებლად დაიკავა პირველი ადგილი, ქუთაისის „აიამ“ — მეორე.

პირველ ორ ადგილზე გასულ გუნდებს შორის ჩემპიონატის ფინალის გამართვა იმთავითვე ჩაფიქრებული იყო (სხვათა შორის, ასევე გათამაშდა მესამე ადგილიც). ხოლო პირველ ადგილზე გასულისთვის მთელი წლის ნაამაგარი წყალში რომ არ გადაგვეყარა, ფინალის მასპინძლობა მას ეკისრებოდა. აი, ამიტომ იყო, ფინალი თბილისში რომ გაიმართა. ამდენად, აქ ის ამბავი, თბილისი საქართველოს დედაქალაქი რომაა, არაფერ შუაშია.

ეს წინათქმად და მცირედ განმარტებად, თორემ ის, ვინც არ დაიზარა, თოვლს არ შეეპუა და ვაკის სტადიონზე ნისლიან დღეს მაინც მოვიდა, ან ნაშუადღევს ფინალის მეორე ნახევარს ტელეეკრანზე უყურა, დაგვეთანხმება, რომ ჩემპიონატი მართლაც საკადრისად დამთავრდა; რომ გაიმარჯვა მართლაც უძლიერესმა; რომ მართლაც შეგვძლებია საშინაო შეჯიბრებების წესიერად გამართვა, ერთმანეთის პატივისცემა, ალალი სპორტული მეტოქეობა, უმიდლიეოდ და ურაზმელებოდ წესრიგის დაცვა; და კიდევ — ურთიერთდანდობა და მიტევება. ვინც თამაშს უყურა, უთუოდ ეხსომება, შეხვედრის კულმინაციურ მონაკვეთში ერთი თბილისელი როგორ „გაუმასპინძლდა“ ქუთაისელ მორაგბეს. სხვა დროს ამ ამბავს ალბათ სამკვდრო-სასიცოცხლო შინაომი მოჰყვებოდა, აი, კვირას კი მსაჯმა შემცდარს მყის სარბიელი დაატოვებინა, თამაში კი ისევე ვაჟკაცურად გაგრძელდა, როგორც მანამდე მიმდინარეობდა, და ტრადიციულად „ცოცხალი“ დერეფნების მოწყობითა და ურთიერთპატივის მიგებით, ტაშისკვრით დამთავრდა.

შევეცადოთ გავერკვეთ, რამ განაპირობა „აიას“ გამარჯვება, თუკი, როგორც ახლავე დარწმუნდებით, სათამაშო უპირატესობა უმეტესად „ელმავლის“ ხელთ იყო. ამას უტყუარად მოწმობს შემდეგი სტატისტიკა: „ელმავალმა“ ბურთი საიერიშოდ დერეფნიდან მოიგო 13-ჯერ, „აიამ“ — მხოლოდ 4-ჯერ (შესვენებამდე — 7:4). იგივე მაჩვენებელი „ელმავლის“ სასარგებლოდაა შერკინებისთვის — 18:15 (10:6) — და მოლის, რაქისა და მოთამაშეთა ზედახორისთვისაც — 14:13 (8:9). მეტოქეებს კონტრიერიშის [illegible] ორ-ორჯერ მიეცათ (ყველა — მეორე ნახევარში). დაბოლოს, „ელმავლის“ სასარგებლოდ დაინიშნა 14 საჯარიმო, „აიას“ სასარგებლოდ კი — მხოლოდ 9 (შესვენებამდე — 8:4). თუმცა აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ „ელმავალს“ 7 საჯარიმო „ერგო“ შეხვედრის ბოლო ათ წუთში, როცა თავად უანგარიშო და უსისტემო შტურმზე გადავიდა (ამ მონაკვეთში გუნდი სამჯერ დაჯარიმდა).

ერთი სიტყვით, „ელმავალს“ იერიშის ნაღდი შესაძლებლობა მიეცა 47-ჯერ, „აიას“ — 34-ჯერ (შესვენებამდე — 26:19), ეს კი საგრძნობი უპირატესობაა.

მაშ, რამ განაპირობა „ელმავლის“ მარცხი და „აიას“ წარმატება? ჩვენი აზრით, რამდენიმე ფაქტორმა.

პირველი და უმთავრესი ისაა, რომ ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე უმეტესად რუსეთის გუნდებთან ურთიერთობის გამო ჩვენმა რაგბიმ ლამისაა მთლად დაკარგოს თვითმყოფადობა და რუსულის უხეირო ასლი გახდეს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ქართველები დღესდღეობით ვთამაშობთ „დამანგრეველი“ სტილით, რომლის არსი თავად არაფრის კეთება, არშეტევაა, მეტოქისთვის კი — ხელის შეშლა. მსგავსია მსაჯობის სტილიც: დამსჯელი, საიმისოდ მიმართული, მსაჯმა გუნდები რომ არ ათამაშოს, თამაში რომ არ გამწვავდეს, სამაგიეროდ, თავად მსაჯობა რომ იყოს ადვილი. ყველაფერი ეს დღესდღეობით ჩვენი უბედურებაა და მას ვერსად წავუვალთ.

არადა, მთელს მსოფლიოში („ერთმორწმუნე“ რუმინეთის გამოკლებით) ამ სტილს გასავალი ვერა აქვს, თავად რაგბის არსი — როგორც შეტევითი თამაშისა და საერთაშორისო რაგბის დონეც მას ვერ ჰგუობენ.

უფრო ლოკალური, საიმდღეო მიზეზებიდან უმთავრესი ისაა, რომ „ელმავალმა“ „აია“ ბურთაობაში ვერ აიყოლია. პირიქით, „აიამ“ აიყოლია „ელმავალი“ გაუთავებელ ჰიდილსა და ფეხით პინგ-პონგში, ამ ორ კომპონენტში კი „აიას“ მორკინალებსა და ნუგზარ ძაგნიძეს არათუ საქართველოში, უზარმაზარ რუსეთშიც ბადალი არა ჰყავთ.

დიახ, იმ დღეს „აიას“ შემადგენლობაში იყო ერთი დიდი მოთამაშე — ნუგზარ ძაგნიძე, რომლის ტაქტიკურმა ალღომ, დისციპლინამ, უკეთესმა ტექნიკამ, გნებავთ, ფრიადმა სიმარდემაც და ავტორიტეტმაც მის გუნდს გაამარჯვებინა. ძაგნიძის იმედად მყოფმა „აიამაც“ თამაში მარტივ ტაქტიკას დააფუძნა: თუ მორკინალები შეჯგუფებაში ბურთს დაეუფლებოდნენ, კიკაჩეიშვილი მას ძაგნიძეს გადასცემდა, ძაგნიძე კი ბურთს ფეხს ურტყამდა: თავისი ნახევრიდან — წინ, მეტოქის ზურგისკენ, „ელმავლის“ ნახევრიდან კი — არეკნით, კარში. შეხვედრის განმავლობაში ნუგზარმა 29 დარტყმა შეასრულა და სამი გაცუდებული არეკნის, თითო ცუდად მოგერიებისა და უხეიროდ გაგორების გარდა ყველა სხვა დარტყმა უნაკლო იყო.

დასასრულ, გასათვალისწინებელია ფსიქოლოგიური ფაქტორიც. „ელმავალს“ თავისი უპირატესობის დამტკიცება ალბათ „აიაზე“ მეტად სურდა; საწყისი 60 წუთის მანძილზე ინიციატივაც ხელთ ეპყრა, თუმცა



კი ვერ დაწინაურდა. გუნდი ალბათ ფიქრობდა, სადაცაა გავიტანთ ბურთსო. ამან „ელმავალი“ აამჩატა, მას თამაშის მსვლელობაში მომხდარი გარდატეხა გამორჩა, სამი უხეში და ერთობ გულუბრყვილო ტაქტიკური შეცდომა დაუშვა და 12 წუთის მანძილზე მეტოქეს იმდენი ქულა „უძღვნა“, რომ მერე ველარას გახდა.

ზაალ გიგინეიშვილი
გია ახალაძის ფოტოები

# «კაიზერის» ახალი სამოსელი

(დასასრული)

სიტყვებს? მით უმეტეს, რომ სხვა ინტერვიუში ბეკენბაუერმა საკმარისად დამაჯერებლად დაასაბუთა თავისი გადაწყვეტილება.

„ოლიმპიკში" კიდევ იმიტომ წავედი, რომ მანამდე არასოდეს მიმუშავია საკლუბო გუნდთან. ფეხბურთელებთან ყოველდღიური კონტაქტი, მათთან ერთად ახალი სისტემების, ახალი ტაქტიკური სვლების გამომუშავება მეტად საინტერესოდ მეჩვენა. ნაკრებ გუნდში საწვრთნელი პროცესი სულ სხვა კანონებზეა დამყარებული. გარდა ამისა, ტაპიმ მკაფიოდ დამისახა ამოცანა: ევროპის ჩემპიონთა თასის მოგება. ერთი შეხედვით გადაუჭრელი პრობლემების გადაჭრა მუდამ მხიბლავდა. ჩემს ცხოვრებას ახალი აზრი მიეცა. რა თქმა უნდა, გარანტიას ვერავის მივცემ, „ოლიმპიკი" გინდა თუ არა წლეულსვე მოიპოვებს ჩემპიონთა თასს-მეთქი. გამარჯვების დიდი შანსი აქვთ „ბაიერნსაც", „მილანსაც", „რეალსაც". მაგრამ, ვფიქრობ, ორ წელიწადში მიზანს მივაღწევთ. თუ ვერ მივაღწიეთ, კიდევ ცოტა ხნით დავრჩები „მარსელში".

ამას რომ ამბობდა, ბეკენბაუერი ახალი ჩასული იყო საფრანგეთში. დღეს, სულ რაღაც სამიოდე თვის შემდეგ, „კაიზერი" გაცილებით უფრო ფრთხილად ლაპარაკობს თავის გუნდის პერსპექტივებზე.

„ჩემპიონთა თასი? ეს მხოლოდ და მხოლოდ ოცნებაა. ცხადია, ოცნება არავის ეკრძალება, მაგრამ, თუ საქმის ვითარებას რეალურად შევაფასებთ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩემპიონთა თასამდე ჯერ კიდევ დიდი, ძალიან დიდი მანძილი გვაქვს გასავლელი".



ბეკენბაუერი ფეხბურთელებთან ერთად ვარჯიშობს

## რკინის ფრანცი

ბეკენბაუერის კონტრაქტის გაფორმებას „ოლიმპიკთან" უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. შეიქმნა პარადოქსული ვითარება — პრეზიდენტმა შემცვლელი მოუყვანა მწვრთნელს, ვისი ხელმძღვანელობითაც გუნდმა ზედიზედ ორჯერ გაიმარჯვა ეროვნულ ჩემპიონატში, ხოლო ერთხელ თასიც მოიპოვა (აღარაფერს ვამბობ ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გასვლაზე). წარმატებათა ასეთი სერიის შემდეგ ჟერარ ჟილი ძნელად თუ წარმოიდგენდა, რომ მის მომავალს რაიმე საფრთხე ემუქრებოდა. მაგრამ ბერნარ ტაპის ნაკლებად აღარდებდა ჟილის განცდები: ამიერიდან ბეკენბაუერის ასისტენტად იმუშავებო, პირდაპირ განუცხადა ერთ მშვენიერ დღეს. უარი გამორიცხული იყო — ჟილის კონტრაქტს „ოლიმპიკთან" მხოლოდ 1991 წლის ზაფხულში გასდიოდა ვადა. ასე რომ, პირველ ხანებში, სათადარიგოთა სკამზე ჟილი ბეკენბაუერის გვერდით იჯდა. ბოლოს მაინც ვერ დაძლია წყენა და თავის ახალ შეფს სთხოვა — ბორდოში მეპატიჟებიან და გამიშვითო. ფრანცმა სულგრძელობა გამოიჩინა და ჟილის ტაპისთან უშუამდგომლა. დღეს ჟერარ ჟილი ბორდოს „ჟირონდას" ტექნიკური დირექტორია. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა გრძნობით გაიყვანს იგი თავის ახალ გუნდს მარსელის „ოლიმპიკის" წინააღმდეგ სათამაშოდ.

პირველი ცვლილებები, რაც ბეკენბაუერმა „ოლიმპიკში" განახორციელა, ადმინისტრაციული ხასიათისა გახლდათ. აი, მათგან ზოგიერთი:

1. თავიანთ სპორტულ ფორმებს ფეხბურთელები თვითონ აღარ რეცხავენ. ვარჯიშის ან მატჩის შემდეგ ისინი გასახდელებში ტოვებენ მაისურებს, ტრუსებსა და გეტრებს, მორიგ ვარჯიშზე მოსულებს კი ეს ყოველივე გარეცხილ-დაუთოებული ხვდებათ;

2. ფრანგ ჟურნალისტებს ამიერიდან ეკრძალებათ მატჩის შემდეგ გასახდელში შესვლა და ინტერვიუს აღება;

3. გულშემატკივრებს მხოლოდ შორიდანღა შეუძლიათ თვალი ადევნონ თავიანთი კერპების ვარჯიშს. ვარჯიშზე დასწრება ადგილობრივი გაზეთების მხოლოდ ერთ წარმომადგენელს შეუძლია (თითო ვარჯიშზე — თითოს). სხვა ქალაქებში გამომავალი გაზეთების კორესპონდენტებმა ამ უფლების მისაღებად, რამდენიმე დღით ადრე კლუბის სამდივნოს უნდა მიმართონ და შემდეგ იქვე მიიღონ ნებართვა. ბეკენბაუერი თვლის, რომ ყოვლად დაუშვებელია ვარჯიშის დროს გარეშე პირთა გაუთავებელი სეირნობა სარბენ ბილიკებზე;

4. ოფიციალურ კალენდარულ მატჩებსა და ვარჯიშებზე ფეხბურთელები საკუთარი ავტომანქანებით აღარ დადიან. ახლა მათ სპეციალური ავტობუსი ემსახურებათ, რითაც მწვრთნელის აზრით, ბოლო უნდა მოეღოს დაგვიანებას, (როცა ცენტრალურმა მცველმა ბოლიმ თავშეყრის ადგილზე მისვლა დააგვიანა და ავტობუსი რამდენიმე წუთით შეაყოვნა, ბეკენბაუერმა, თვითმხილველთა ცნობით ისეთი დღე აყარა საცოდავს, მას შემდეგ მსგავსი რამ არავის გაუბედავს);

5. ახალმა მწვრთნელმა ახალი საწვრთნელი ბანაკი შეურჩია თავის გუნდს. აქამდე „ოლიმპიკის" ფეხბურთელები მნიშვნელოვანი მატჩების წინ ქალაქიდან 150 კილომეტრის მოშორებით მდებარე სამთო ოტელში მიემგზავრებოდნენ ხოლმე. ამის თაობაზე ბეკენბაუერმა განაცხადა: „ამ სასტუმროში დროს სატარებლად უნდა ჩამოვიდეს კაცი, მზადებისთვის კი უფრო შესაფერისი ადგილის პოვნა მოგვიწევს".

ამ არასრული ჩამონათვლიდანაც მშვენივრად ჩანს, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „კაიზერი" დისციპლინას. „სხვაგვარად არაფერი გამოგვივა, — ამბობს ბეკენბაუერი. — ამასწინათ, დილის მოთელვის დროს, ერთმა მოთამაშემ გაიოცა, როცა ქურთუკის ჩაცმის ნება არ მივეცი. მცივაო, მითხრა. ჯერ ერთი, მოთელვის დროს არ უნდა შეხცივდეს ფეხბურთელს. მეორეც თუ სხვებს მაისურები აცვიათ, კეთილი ინებე და შენც მაისურით გამოდი სავარჯიშოდ".

რა დასამალია და სამხრეთელ ფრანგებს ეს ყოველივე დისციპლინის გაფეტიშებად მიაჩნიათ. მაგრამ ბეკენბაუერი ფრანგი არ არის და, რაკი საქმეს ხელი მოჰკიდა, არავის არაფერს დაუთმობს. თვით ტაპისაც კი. რამდენიმე დღის წინ პრესაში გამოჟონა ინფორმაციამ, თითქოს პრეზიდენტსა და ტექნიკურ დირექტორს საკმაოდ სერიოზული უთანხმოება მოუვიდათ ერთ-ერთი მატჩისთვის გუნდის სასტარტო შემადგენლობის დადგენისას. ბეკენბაუერის წინამორბედებთან მუშაობის დროს ტაპი მათი მხრიდან სრულ მორჩილებას იყო მიჩვეული. იგი თურმე ხშირად იმეორებდა: „სტრატეგიას მე ვირჩევ, მწვრთნელი კი მხოლოდ ახორციელებს მას". ახლა სურათი მკვეთრად შეიცვალა. „კაიზერმა" ყველას გასაგონად განაცხადა: „სტრატეგიას მე ვადგენ, ისევე როგორც გუნდის შემადგენლობას. არა მგონია ტაპის მხოლოდ თავისი იდეების განსახორციელებლად ვყავდე წამოყვანილი მარსელში". ხსვაგვარი რეაქცია ბეკენბაუერისგან გასაკვირიც კი იქნებოდა. ბოლოს და ბოლოს, ტაპისა არ იყოს, ისიც ხომ გამარჯვებასაა მიჩვეული.

## არასოდეს თქვათ „არასოდეს"!

მარსელის „ოლიმპიკი" დღეს სათავეში უდგას საფრანგეთის ეროვნული პირველობის სატურნირო ცხრილს. ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მეოთხედფინალურ ეტაპს მიაღწია. წლევანდელი სეზონის დაწყებამდე ბერნარ ტაპიმ თავისი გუნდისთვის თერთმეტი ახალი ფეხბურთელი შეიძინა. მათ შორის ხუთი საფრანგეთის ნაკრების წევრია: კანტონა (24 წლის, თამაშობდა „მონპელიეში"), კასონი (29, „ტულონი"), ბოლი (33, „ოსერი"), ფერნიე (25, „სენტ-ეტიენი") და პარდო (29, „ჟირონდა"). ეროვნული ნაკრების ღირსებას „ოლიმპიკის" კიდევ ორი წევრი იცავს: 28 წლის ამორო და გუნდის კაპიტანი 26 წლის პაპენი, რომელსაც ტაპი ხუმრობით თავის შვილს უწოდებს და რომელიც შვებულებას ოჯახთან ერთად ყოველწლიურად თავისი პრეზიდენტის იახტაზე ატარებს. ჩამოთვლილ ფეხბურთელებს სამი უცხოელი მოთამაშე უმშვენებს გვერდს: 25 წლის იუგოსლაველი დრაგან სტოიკოვიჩი, რომლისთვისაც ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" ტაპიმ დაახლოებით 8 მილიონი დოლარი გადაუხადა, 29 წლის ინგლისელი ქრის უოდლი და მისი თანატოლი, ბრაზილიელი კარლოს მოზერი. ხმა დაირხა, თითქოს ბეკენბაუერი თავის თანამემამულეების, მსოფლიო ჩემპიონების ლოთარ მათეუსისა და გიდო ბუხვალდის მოწვევას აპირებს. ამ რამდენიმე დღის წინ მწვრთნელმა გადაჭრით უარყო ასეთი ცვლილების შესაძლებლობა. თუმცა, ერთი თანამემამულე ფრანცმა მაინც წაიყვანა მარსელში. ეს გახლავთ მისი ასისტენტი ჰოლგერ ოზიკი, რომელიც, ისევე როგორც გფრ-ის ნაკრებში მუშაობის დროს, „ოლიმპიკშიც" ფეხბურთელთა ფიზიკურ მომზადებას ხელმძღვანელობს. ... ერთმა კორესპონდენტმა ბეკენბაუერს ჰკითხა: „თუ მარსელში ამოცანა წარმატებით შეასრულეთ, ხომ არ აფიქრებთ თქვენს მშობლიურ კლუბში, მიუნხენის „ბაიერნში" მწვრთნელად დაბრუნებაზე?"

„კაიზერმა" ჯერ თავი გააქნია უარის ნიშნად, მერე უცებ ჩაფიქრდა და სერიოზულად უპასუხა: — „არასოდეს — ეს სიტყვა კაცმა არასოდეს უნდა თქვა". ვფიქრობ, ეს სოლიდურმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ათქმევინა: 11 სექტემბერს ფრანც ბეკენბაუერს 45 წელი შეუსრულდა.




მსოფლიოსა და ევროპის წლევანდელ ჩემპიონატებში ქართველმა მოჭიდავეებმა 19 [illegible] ჯილდო მოიპოვეს. [illegible] მედლის მფლობელი 30 წლის მალხაზ ბერუაშვილი, რომელმაც გაიმარჯვა მოსკოვში სამბოში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, უმძიმეს წონით კატეგორიაში.

ქართველი მოჭიდავის წარმატება კანონზომიერია. საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტის ბიძინა მაზიაშვილის აღზრდილს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვს. ყველაზე დიდ წარმატებას მალხაზმა ძიუდოში მიაღწია. უძლიერესის სახელი მან პირველად ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე მოიპოვა, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა. ძიუდოში თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ბერუაშვილი ოთხჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

ძიუდოთი გატაცების მიუხედავად, მალხაზს არასოდეს დავიწყებია, რომ მისი სპორტული გზა მშობლიურ ქარელში, ქართული ჭიდაობით დაიწყო. ისიც არასოდეს უშვებს ხელიდან ჩოხის ჩაცმის შანსს. მალხაზ ბერუაშვილი არასოდეს ღალატობს თავის ბავშვობის გატაცებას. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ იგი ოთხჯერ იყო საქართველოს ფალავანი. მეხუთე გამარჯვება მალხაზ ბერუაშვილმა შარშან მოიპოვა თბილისის პირველ საერთაშორისო ტურნირზე ქართულ ჭიდაობაში - აბსოლუტური პირველობა მოიგო.

ცოტა ხნით ადრე კი ბერუაშვილმა ძიუდოისტის კიმანო სამბისტის კოსტიუმზე გაცვალა და, როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაგვანახვა, ქართველმა სპორტსმენმა აქაც არავის დაუდო ტოლი. მან ჯერ იყო და სსრ კავშირის

## ოქროს ტოლფასი 4 წუთი

აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, შემდეგ კი უძლიერესად აღიარეს საბჭოთა კავშირის მძიმეწონოსანთა შორის.

სამბოში წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მალხაზი დიდი სერიოზულობით ემზადებოდა. სპეციალისტები მას 100 კილოგრამზე ზევით წონითს კატეგორიაში ერთ-ერთ უდავო ფავორიტად მიიჩნევდნენ. ბერუაშვილმა საქმით დაამტკიცა, რომ იგი ამჟამად უძლიერესია მსოფლიოში მძიმეწონოსან სამბისტთა შორის. ამჯერად მას „ბრმა" წილისყრამაც ვერ შეუშალა ხელი, რომელმაც ქართველი ათლეტი პირველსავე წრეში ოქროს მედლის ერთ-ერთ უმთავრეს პრეტენდენტს, მონღოლ ერდენებტს შეახვედრა. ამ უმძიმეს ორთაბრძოლაში ბერუაშვილმა ქულებით გაიმარჯვა.

ფინალში მალხაზმა ყოველგვარი იმედი გადაუწურა ამერიკელ მაიკ ჯონსონს, რომელმაც ვერც ერთი ქულის აღება ვერ შეძლო. შეხვედრა მეოთხე წუთზე შეწყდა ქართველი სპორტსმენის აშკარა უპირატესობის გამო - 13:0.

დაბოლოს, მალხაზ ბერუაშვილი მეექვსე სამბისტია საქართველოდან, ვინც მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მანამდე ამ ტიტულს ფლობდნენ გენადი გიორგაძე, ლევან თედიაშვილი, იოსებ მალალაშვილი, სერგეი ტერნოვიჩი და ჯემალ მჭედლიშვილი.

■ ■ ■

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა უმცროსი ასაკის მოჭიდავეთა ასპარეზობაშიც ისახელეს თავი. იუნიორთა შეჯიბრებაში ოქროს მედალი დაიმსახურა მურთაზ თურქიამ (62 კგ), კობა გურეშიძემ კი მესამე ადგილი დაიკავა. ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა ნიკოლოზ გაგნიაშვილმა (76 კგ), ხოლო კონსტანტინე კუსიდი მესამე ადგილს დასჯერდა.



# დილის ინტერვიუ

საინტერესოა, პირველი რა ფიქრი ეწვევა ხოლმე წინა ღამის ქართული „მცირე ვახშმის" მერე უთენია გაღვიძებულ მამაკაცს?
ისევე, როგორც სუსტი სქესის ყველა სხვა წარმომადგენელს, მეც მინდა მჯეროდეს, რომ ვიცი, რას უნდა ეხებოდეს ეს ფიქრი. არა, არა, „ბორჯომი" რა შუაშია. მე ვფიქრობ (თუმცა შეიძლება, სულ ტყუილადაც), რომ ფიდე-ს პრეზიდენტ ფლორენსიო კამპომანესს სწორედ იმ შეკითხვას ვაძლევ, რომელზეც ყველა მამაკაცი სიამოვნებით და უყოყმანოდ გიპასუხებთ დღე-ღამის ნებისმიერ დროს.
ადრიანი დილაა. პირველი თვითმფრინავი მოსკოვისაკენ ათ წუთში მიფრინავს. ჩია კამპომანესი მისთვის შეუფერებლად დიდ სავარძელში ჩაფლულა (პრეზიდენტის სავარძელზე არ არის ლაპარაკი).

შუბლი შეუჭმუხნია და გამალებით ფიქრობს, რა მიპასუხოს. პრეზიდენტს ლურჯი, სულ უბრალო პლაშჩი აცვია და, რომ არა მისი აშკარად უცხო, მკვეთრად გამოხატული აზიური სახე, სულ ადვილად შეიძლება ჩვეულებრივ, რიგით საბჭოთა მოქალაქედ მიიჩნიოთ (ისევ და ისევ ხაზს ვუსვამ, რომ გადაკრულებით არ მიყვარს ლაპარაკი).

**●მაშ ასე, მისტერ ფლორენსიო, როგორი ტიპის ქალები მოგწონთ?**

დიახ, ამის მაგიერ რაღაც ისეთი, „საჭადრაკო" რომ მეკითხა, დარწმუნებული ვარ, უთუოდ გექნებოდათ მომზადებული „საშინაო დავალება" და პასუხს ამდენ ხანს არ დამიგვიანებდით...

ცაიტნოტი, მისტერ ფლორენსიო!

მაგრამ, მსგავსად თავისი საყვარელი დიდოსტატისა (ნუ დავაზუსტებთ, სახელდობრ რომლის), კამპომანესი დანებებას არ ჩქარობს, მით უფრო, თვითმფრინავის აფრენამდე სულ რაღაც წუთები რჩება, მე კი ბაყბაყდევი არა ვარ, რომ კუდში ვტაცო ხელი და არ გავუშვა. სხვა რა გზაა, თუნდაც ვერ მივილო ეს ინტერვიუ, ისევ მე უნდა დავთმო.

— ჭკვიანი, — ამბობს უცებ კამპომანესი, — მე ჭკვიანი ქალები მომწონს.

**●ჭადრაკი? ჭადრაკი რომელი უფრო გიყვართ — ქალებისა თუ ვაჟებისა?**

— ო, ეს ძალიან რთული კითხვაა!

**●პირველზე რთული?**

— მე ორივე მიყვარს.

**●დიახ, როგორც ფიდე-ს პრეზიდენტს, ორივე უნდა გიყვარდეთ, მოვალეცა ხართ, მაგრამ როგორც ადამიანს, როგორც მამაკაცს...**

— ეს ჭადრაკია, გესმით? ჭადრაკი. ორივეს აქვს თავისი კლასიფიკაცია, თავისებურება. მათ შორისაც არსებობს სხვაობა, ისევე, როგორც, ვთქვათ, სქესთა შორის.

ორივეს გაგვეცინა. ინგლისურად „სქესი" და „სექსი" ერთნაირად ჟღერს. ამიტომ უნებურად სიტყვის თამაში გამოვიდა...

**●როგორ გგონიათ, ქალთა ჭადრაკი იქნება დღევანდელზე პოპულარული? ანდა, დიდი დრო დაგვჭირდება, რომ მამაკაცებს დავეწიოთ?**

— ამისათვის ქალებმა ბევრი უნდა იმუშაონ. აქ ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ქალთა ჭადრაკი, რა თქმა უნდა, მეტ პოპულარობას მოიხვეჭს, თუ კიდევ უფრო საინტერესო გახდება. ლამაზი პარტია თვითონ იპოვის დამფასებელს.

გვაჩქარებენ. სამწუხაროა, ძლივს ვიპოვეთ საერთო ენა და...

მიილია საქართველოში ფლორენსიო კამპომანესის ოფიციალური ვიზიტის ბოლო წუთები. შეგახსენებთ, რომ ბატონი პრეზიდენტი ბორჯომში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირზე დასასწრებად ჩამოვიდა.

ტრაპს მივადექით. მგზავრებს უკვე ღვედები შეუკრავთ და ილუმინატორებისათვის მოუბჯენიათ მზერა. თვითმფრინავი ისე ღმუის, როგორც ჩემი ავტომანქანა, უბენზინობის დროს „სალიარკაზე" რომ ვამუშავებ. კამპომანესმა თავისი პატარა ხელი ჩემს თეთრ ხელთათმანს მოუჭირა. დამშვიდობებისას არ მიმიცია ბანალური შეკითხვები (ვთქვათ, ამ ტიპისა: „რას გვეტყვით ქართულ საჭადრაკო სკოლაზე?"), რათა პასუხიც ასევე ბანალური არ მიმეღო. თუმცა ჩემს ბოლო შეკითხვასაც ალბათ სულ მალე ველარავინ ჩათვლის ორიგინალობის ნიმუშად:

**●მისტერ კამპომანეს! ფიდე ალბათ ერთ-ერთი ის იშვიათი ორგანიზაციაა, რომელიც მშვენივრად იცნობს საქართველოს, იცის, რომ ჩვენ რუსეთის ნაწილი კი არა ვართ, არამედ დამოუკიდებელი რესპუბლიკა, და კიდევ ბევრი სხვა. რას გვეტყვით, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ თქვენი ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი გავხდებით?**

— ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს ქვეყანაში პოლიტიკურ ურთიერთობათა განვითარებაზე. პოლიტიკა უკარნახებს სპორტს და არა პირიქით. მომავლის კარი ღიაა თქვენთვის. ფიდე-ს კარი ღიაა.

...ღიაა, როგორც პრეზიდენტის გული, — გავიფიქრე მე და ბატონ კამპომანესს ხელი დავუქნიე.

პეპი ბოჭორიშვილი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

**P. S.** ამას წინათ ნოვი სადში გამართულ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) კონგრესზე ფლორენსიო კამპომანესი მესამედ აირჩიეს ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად.






## მეფესაც კი შეშურდება

თვით ფეხბურთის მეფისთვის პელესთვისაც კი ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა ის, რაც მადრიდის „რეალის" მოთამაშემ არაგონმა შესძლო. ლეგენდარულმა ბრაზილიელმა მრავალი საფეხბურთო მწვერვალი დაიპყრო, მაგრამ ერთი ნატვრა მაინც ვერ შეისრულა: ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ვერ მოახერხა მეტოქის კარის აღება მინდვრის ცენტრალური წრიდან.

არაგონი უფრო ყისმათიანი აღმოჩნდა: „რეალისა" და „ბარსელონის" შეხვედრის 70-ე წუთზე მან კარიდან წინ გამოსული მეკარე სუბისარეტა შენიშნა და ბურთი ზუსტი ტრაექტორიით გაგზავნა ბადეში.

ამ გოლით არაგონმა დააგვირგვინა თავისი კლუბის გამარჯვება ესპანეთის სუპერთასის გათამაშების საპასუხო მატჩში — 4:1. „რეალმა" პირველ მატჩშიც გაიმარჯვა (1:0) და საპატიო თასს დაეპატრონა.

## მალე გაზაფხულიც მოვა...

ციურიხში, უეფა-ს შტაბ-ბინაში შედგა ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის კენჭისყრა. მეოთხედფინალურ ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან:

ჩემპიონთა თასი

„სპარტაკი"(მოსკოვი)—„რეალი"(მადრიდი)
„მილანი"—„ოლიმპიკი"(მარსელი)
„ცრვენა ზვეზდა"(ბელგრადი)—„დინამო"(დრეზდენი)
„ბაიერნი"(მიუნხენი)—„პორტუ"

თასების მფლობელთა თასი

„დინამო"(კიევი)—„ბარსელონა"
„ლეგია"(ვარშავა)—„სამპდორია"(გენუა)
„მანჩესტერ იუნაიტედი"—„მონპელიე"
„ლიეჟი"—„იუვენტუსი"(ტურინი)

უეფა-ს თასი

„ბრონდბიუ"—„ტორპედო"(მოსკოვი)
„ბოლონია"—„სპორტინგი"(ლისაბონი)
„ატალანტა"(ბერგამო)—„ინტერი"(მილანი)
„რომა"—„ანდერლეხტი"(ბრიუსელი)

წყვილებში პირველად დასახელებული გუნდები 6 მარტს შინ მიიღებენ მეტოქეებს. საპასუხო მატჩების თარიღია 20 მარტი.

## აქეთური, იქითური...

ბელგიის ერთ-ერთი უძლიერესი პროფესიონალი ველომრბოლი იოზეფ ჰეფსი ჰოსპიტალში აღმოჩნდა. მსოფლიო თასის ეტაპზე მან საათში 50 კილომეტრი სიჩქარე განავითარა, ვერ დაიმორჩილა ველოსიპედი და... ექიმებმა სპორტსმენს მრავალი მოტეხილობა დაუდგინეს.

■ ■ ■

მსოფლიო თასის მფლობელი და მრავალდღიან ველორბოლა „ჯირო დ' იტალიას" გამარჯვებული ჯანი ბუნიო პროფესიონალ ველოსიპედისტთა საერთაშორისო ფედერაციამ 1990 წლის საუკეთესო მრბოლად აღიარა. მეორე ნომრად კიდევ ერთი იტალიელი კლაუდიო კიაპუჩი დაასახელეს. მესამეა ფრანგი შარლ მოტე. ყოფილმა მოყვარულებმა უვე რააბმა, ოლაფ ლუდვიგმა და უვე ამპლერმა შესაბამისად 33-ე, 36-ე, და 75-ე ადგილები დაიკავეს.

■ ■ ■

ზიგფრიდ კირშენი პირველი აღმოსავლეთგერმანელი ფეხბურთის მსაჯია, რომელსაც ბუნდესლიგის შეხვედრა ანდეს. მან ჰამბურგის ორი კლუბის „სანკტ-პაულისა" და „ჰამბურგერ შპორტფერაინის" მატჩი იმსაჯა.

■ ■ ■

1990 წლის ზაფხულის „ბაზრობისას" იტალიის საფეხბურთო კლუბებმა ახალ მოთამაშეთა შესაძენად 240 მილიონი დოლარი დახარჯეს. ესპანეთში იგივე მიზნით ექვსჯერ ნაკლები თანხა დაიხარჯა.

■ ■ ■

როგორც იქნა, ბენ ჯონსონს თავის მთავარ კონკურენტ კარლ ლუისთან შეხვედრის საშუალება მიეცა. სამოყვარულო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ორივე ათლეტი მიიწვია შეჯიბრებაზე, რომელიც 1991 წლის 5 აგვისტოს შვეციის ქალაქ მალმიოში ჩატარდება. ამ ასპარეზობის მესამე ვარსკვლავი წლევანდელი სეზონის საუკეთესო სპრინტერი ლეროი ბარელი იქნება.

■ ■ ■

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ათჭიდში ბრიტანელი დეილ ტომპსონი აქტიურ სპორტს უბრუნდება! მას მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მიღება აქვს განზრახული. მისი მწვრთნელის ფრენკ დიკის სიტყვებით ტომპსონი ახლა უკეთეს ფორმაშია ვიდრე 1986 წელს, როცა უკანასკნელად გამოვიდა დიდ შეჯიბრებაში.

■ ■ ■

ევროპისა და აზიის კრივის კონტინენტური კონფედერაციების შეთანხმებით ისრაელის მოკრივეები 1991 წელს მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ჩემპიონატში.

■ ■ ■

1964 წლის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა ტრამპლინიდან წყალში ხტომაში ამერიკელმა ლარი ანდერსენმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. იგი ლოსანჯელესში 121 მეტრი სიმაღლის ტომის ხიდიდან გადავარდა.

■ ■ ■

1991 წლის 6 თებერვალს ლონდონში, „უემბლის" სტადიონზე თავისებური მატჩ-რევანში შედგება: ერთმანეთის პირისპირ ინგლისისა და კამერუნის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდები წარსდგებიან.

აქეთური, იქითური...


სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380077, ვაჟა-ფშაველას გამზ. 48.
გაზეთ „სარბიელის" რედაქცია.
ტელეფონი: 39-18-87.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ქსს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში
თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), გიორგი ქორქია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი, გიორგი ჩოხიშვილი.